# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 28 აპრილი, 2012 წელი.

№79 (6956)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge
ვებ გვერდი: www.open.ge
ფასი 50 თეთრი.


## გიორგი ცაგარეიშვილი:
# „მერაბიშვილი ჩვეულებრივი ყაჩაღია“



**რა და როგორ თქვეს მინისტრებმა სამთავრობო საათზე** ③

## კტო ნა ნეგო ზუბ იმეეტ?



②

## „სეიჩას ესტ, ა სეიჩას – ნეტ?!“

## რაო, უნდა მოეკლათ?!

## ინებეთ ახალი ბრენდი – კახთ ბატონი!

④



## პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ განცხადება

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ იწყებს საარჩევნო კამპანიას და მართავს ხალხმრავალ აქციას 26-27 მაისს. კოალიციამ ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით წერილობით მიმართა ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონისა და მ. მესხის სახელობის სტადიონის ადმინისტრაციებსა და ქ.თბილისის მერიას. საბოლოო გადაწყვეტილებას ღონისძიების ადგილისა და დროის თაობაზე უახლოეს დღეებში გაცნობებთ.

## საქართველოს გაკვეთილი ევროკავშირისთვის, როცა „ნაბუკო“ ინგრევა

⑥




② **„ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი ბიძინა ივანიშვილის პარტიაში გადავიდა**

## 42 გრადუსი: კიბოს „სიცოცხლის“ ზღვარი

⑦

## ფერვალი.

**რა არის თუ ვინ არის?..** ⑧



რიტორიკული კითხვები

# კტო ნა ნეგო ზუბ იმეეტ?

**მართლაც მოღალატე თუ არა, ყოვლად გულგრილ-უპასუხისმგებლო ადამიანებით მაინც არის გარშემორტყმული ჩვენი პრეზიდენტი, თორემ დღენიადაგ ქვეყნისა და ხალხისთვის ფიქრით თავატკიებულ ამ კაცს კბილის ტკივილით გამოწვეული უძილობითაც გატანჯავდნენ?**



**ონ ნა ნეგო ზუბ იმეეტო, რომ იტყვიან მავანზე, ეს იმას ნიშნავს, ის მავანი ვილაცას ჩასაფრებია და ხელსაყრელ მომენტს ელოდება მისთვის, უკეთეს შემთხვევაში, სარმის გამოსაკვრელად.**

ჩემი ღრმა რწმენით, აი, სწორედ ასეთი ჩასაფრებულებით არის გარშემორტყმული ჩვენი პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი.

ამ აზრამდე პრეზიდენტის პრესსამსახურიდან თუ ადმინისტრაციიდან გავრცელებულმა ინფორმაციამ მიმიყვანა — **იმ დღეს პრეზიდენტი ისე უცნაურად იმიტომ გამოიყურებოდა, რომ მთელი ღამე კბილის ტკივილმა არ დააძინაო (?!).**

„იმ დღეში“, შეგახსენებთ, 17 აპრილი იგულისხმება, როდესაც მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ისტორიული მშენებლობა დაიწყო.

იქ მივიდა მაშინ პრეზიდენტიც.

**რა არ თქვეს ამის გამო ავყიებმა: ან გაგლეჯილი მთვრალი იყო, ან მაგარი დაბოლილიო — დალაპარაკება უნდოდა და, ხმას ვერ იღებდა, გაცინება უნდოდა და, უნდილად იღიმებოდა, პიჯაკში რაღაცის ჩადება უნდოდა და, ჯიბეს ვერ აგნებდა, თვალს უცნაურად ბლიტავდაო და ა.შ.**

რას იზამ, ავსიტყვაობის მოყვარულთ პირს ვერ აუკრავ! მათ მხოლოდ უდიდესი აღმშენებლობითი საქმიანობით თუ ჩააკმენდინებნეთ ხმას, რასაც წარმატებით აკეთებს კიდეც ჩვენი პრეზიდენტი, და რის პრაქტიკულ სიკეთესაც ყოველდღიურად გრძნობს თითოეული ჩვენგანი ცხოვრებისა თუ საქმიანობის ნებისმიერ დარგში, უბანზე, სფეროში...

**და სწორედ ყოველივე ამის გასიგრძეგანების შემდეგ გამიჩნდა კითხვა ამ კბილატკიებული კაცის გამო — კტო ნა ნეგო ზუბ იმეეტ?**

**მართლაც ვილაც-ვილაცები ჰყავს ჩასაფრებული უახლოესი გარემოცვიდან, თორემ, როგორც ვთქვი, დღენიადაგ ქვეყნისა და მშობელი ხალხის წინსვლა-კეთილდღეობისთვის ფიქრით თავატკიებულ ამ კაცს კბილის ტკივილით გამოწვეული უძილობითაც გატანჯავდნენ და ავყიათა ქილიკის საგნად აქცევდნენ?**

**რაო, უბრალო ანალგინი მაინც არავის ჰქონდა ახლო-მახლო?**

# „სეიჩას ესტ, ა სეიჩას — ნეტ?!“

**ბრავო, ახალ ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს-მერაბიშვილს!**



**მკითხველს, ალბათ, ეხსომება „ჯარისკაცის მამიდან“ გაკვირვებული გიორგი მახარაშვილის კითხვა-შეძახილი, ჰოსპიტლის რეგისტრატორისგან მისთვის მოულოდნელ-არასასურველი პასუხის მიღების მერე რომ წამოიძახა: „კაკ ეტო, სლუში, სეიჩას ესტ, ა სეიჩას — ნეტ?“**

დაახლოებით ამგვარი გრძნობა დამეუფლა მეც, როდესაც პარლამენტში სამთავრობო საათზე მიწვეულმა ვანო მერაბიშვილმა რუსულ ინვესტიციებთან დაკავშირებით თქვა, „ფულს სუნი არა აქვსო“.

**როგორ, კაცო, „გუშინწინ“, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი თქვენი, „ვარდოსან რევოლუციონერთა“ მამა-მარჩენალი იყო, სანამ რეფორმებისთვისაც უხვად აფინანსებდათ და ხელფას-პრემიებისთვისაც, მანამდე ეს მეცენატი გადასარევი კაციც იყო და არც მისი ფული „ყარდა“, „გუშინდლიდან“ კი, როდესაც იგი თქვენთვის არასასურველ პოლიტიკურ პლატფორმაზე დადგა, პიროვნულადაც ამაზრზენია (თქვენი აზრით, ცხადია!) და მისი ფულიც „აქოთდა?“**

**ბენდუქიძის მიერ რუსეთში ნაშოვნ მილიონებზე რას იტყვით, ბატონო ვანო, ან იმ უთვალავ მილიონზე, მავანებმა ლამის მთელი ქართული ეკონომიკის რუსული ბიზნესისთვის ჩაბარების სანაცვლოდ რომ ჩაიჯიბეს?**

... ვესპასიანემ, გეხსომებათ, როგორ უსაყვედურა თავისი გადაწყვეტილების გამკრიტიკებელ ვაჟს — **აბა, დაყნოსე ერთი, ტუალეტით სარგებლობისთვის დაწესებული გადასახდით მიღებულ ამ ფულს სუნი თუ ასდისო!**

ჩვენმა გავესპასიანებულმა მერაბიშვილმაც ეს სიტყვები, ალბათ, იმ „ინტრიგან“ ოპოზიციონერთა მისამართით თქვა, რომლებმაც, შესაძლოა, უსაყვედურეს **— სულ ერთთავად რუსებს რომ აგინებთ და ლანძღავთ, ლამის მთელი ეკონომიკა მათვე რატომ ჩაუგდეთ ხელშიო!**

ბრავო, ვესპასიანე-მერაბიშვილო!

**თუმცა ერთიც კია: კარგი მექოთნის დარად ჯერჯერობით ქოთანს ყურს საიდანაც გსურთ, იქიდან კი გამოაბამთ ხოლმე, მაგრამ, ვინძლო, ეს „ყური“ მალე, ერთ რამესთან ერთად, შეგრჩეთ ხელში, ქოთანი კი სხვა მექოთნეებს დარჩეთ!**

# რაო, უნდა მოეკლათ?!

**— შენ გაიხარე და იდღეგრძელე შვილო, იმ მოხუცებულს რომ დაეხმარე ქუჩის უსაფრთხოდ გადაკვეთაშიო, — თავზე ხელი გადაუსვა ბიჭუნას ერთმა მანდილოსანმა.**

**— აბა არ უნდა დავხმარებოდიო? — ისე უშუალოდ გაიკვირვა ბავშვმა, მეც მომინდა მისი მოფერება.**

**რამ გამახსენა ეს?**

ზემოაღნიშნულ სამთავრობო საათზე შინაგან საქმეთა მინისტრს ამაყად განუცხადებია, **ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში არც ერთ პოლიციელს არც ერთი მოქალაქე არ მოუკლავსო!**

ღმერთო ჩემო!

რომ იტყვიან, ვენდოთ სიტყვაზე, და არ შევახსენოთ თუნდაც მარტო შარშანდელი 26 მაისის გამთენიისას მაღაზიის სახურავზე „დენის დარტყმით“ დაღუპული ორი მამაკაცი, რომლებმაც, ალბათ, სიკვდილამდე ორიოდ წამით ადრე თავადვე გაიკოჟეს ხელები!

**სხვა ფაქტებზეც არაფერი ვთქვათ და, ზემოაღნიშნულ ბიჭუნასავით გაკვირვებულმა გულუბრყვილოდ ერთიღა ვიკითხოთ:**

**რაო, უნდა მოეკლათ განა, ბატონო ვანო?!**

**რუსლან რუსია**

შეხვედრა

# დასაქმების პროგრამის ხარვეზები

**გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამა „summer job“-ის მონაწილეებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი დამსაქმებლისა და შეთავაზებული სამუშაოს შესახებ სტუდენტებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება იყო.**

პროგრამა 2500 სტუდენტს დაასაქმებს, აქედან რეგიონში 1500-ს, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში (20 ივლისიდან 20 აგვისტომდე) იმუშავებენ და ხელფასის სახით მიიღებენ 500-500 ლარს. მასში მონაწილეობას საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტები მიიღებენ.

პროგრამაში რეგისტრაცია მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით, ონლაინ რეჟიმში იყო შესაძლებელი. ამდენად ვაკანსია რამდენიმე საათში შეივსო და ხელმოცარული დარჩნენ ის სტუდენტები, რომელთაც, გასაგები მიზეზთა გამო, ხელი არ მიუწვდებათ კომპიუტერზე. ამით ისინი თავიდანვე გამოეყვნენ ამ პროცესს, რაც ჯერ არ დაწყებული პროგრამის ხარვეზებზე მეტყველებს.



— მნიშვნელოვანია ამ პროექტის არსებობა. რეგისტრაცია აბსოლუტურად გამჭვირვალე ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა. პროგრამაში ჩართულია კერძო დამსაქმებლები, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საინტერესო ფაქტია. იმედია პროგრამა გაამართლებს და მომავალ წელსაც გაგრძელდება — განაცხადა განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ.

პროგრამა არ უზრუნველყოფს სტუდენტთა დასაქმებას თავისი სპეციალობით. მისი იდეაა დამსაქმებელთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

პროექტის ფარგლებში ეკონომიკის სფეროში დასაქმებული სტუდენტები შემდეგ ობიექტებზე იმუშავებენ: „საქართველოს რკინიგზა“, „საქაერონავიგაცია“, „საქართველოს აეროპორტის გაერთიანება“, „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“, „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“, „საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაცია“, „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“, „ბორჯომის“ პარკის აღდგენისა და განვითარების ფონდი“, საქართველოს ფოსტა, სამშენებლო კომპანიები, მუნიციპალიტეტები და სხვა.

— რეგისტრაციის პროცესი არ იყო მარტივი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ რამდენიმე საათში შეივსო ვაკანსიები. ჩვენი სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: ჯერ მივცეთ საშუალება იმუშაონ იქ, სადაც რეალურად შეიძლება მომავალში დასაქმდნენ. ბევრი სტუდენტი კი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგიონებში დასაქმდება — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ.

პროგრამაში ჩართულმა სტუდენტებმა 15 მაისამდე უნდა მიაკითხონ დამსაქმებელს და მასთან გააფორმონ ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამოვარდებიან პროგრამიდან. გამოთავისუფლებულ ადგილებზე კი ხელახალი რეგისტრაცია დაიწყება.

**გულნაზ გახარია**

ინფორმაცია

## „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი ბიძინა ივანიშვილის პარტიაში გადავიდა

**საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ აპარატის უფროსი დავით ლორთქიფანიძე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რიგებს უერთდება.**

**გუშინ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე მან აღნიშა, რომ ეს გადაწყვეტილება განპირობებულია პოლიტიკური მოსაზრებებით.**

**„მიმდინარე წლის 12 აპრილს დავწერე განცხადება და წამოვედი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის აპარატის უფროსის თანამდებობიდან. ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო პოლიტიკური მოსაზრებების გამო. დღევანდელ ქართულ რეალობაში, მაშინ როდესაც არის სერიოზული პრობლემა საქართველოს ხვალინდელი დღისა, ვფიქრობ, ის პოლიტიკა, რომელსაც ქდმ ახორციელებს ხელისუფლების ეტაპობრივი ცვლილების ფორმით, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, არასწორია. აუცილებელია კონსტიტუციური გზით, არჩევნებით მოხდეს ხელისუფლების ცვლილება. იმდენად რამდენადაც ჩვენს ქვეყანას ხვალინდელი დღე შეიძლება აღარც ჰქონდეს“.**

**დავით ლორთქიფანიძის თქმით, მისი ეს გადაწყვეტილება გამყარდა მას შემდეგაც, რაც მის მშობლიურ რაიონში ვანში მისივე ამომრჩეველთან შეხვედრა ერთობლივად ჩაატარეს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრებმა და ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლებმა. მან გამგეობის წარმომადგენლების გვარებიც დაასახელა — ახვლედიანი, დოლონაძე, კორძაძე.**

**დავით ლორთქიფანიძემ ასევე აღნიშნა, რომ პარტია „ქართული ოცნება-თავისუფალ საქართველოში“ გადასვლა არ უკავშირდება ფინანსურ ინტერესებს.**

News.ge

ალიანსი

## საქართველოს ნატოში გაწევრებაზე ვერ იმოქმედებს

**„საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარის ყოფნა მის ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით მისაღებ გადაწყვეტილებაზე ვერ იმოქმედებს“ - განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში თინა ქეიდენაუმ ნატოსა და ევროპული საკითხების ქვეკომიტეტის სხდომაზე.**

მისივე განცხადებით, მათ სწამთ, რომ არც ერთ სუვერენულ სახელმწიფოს არ უნდა შეეზღუდოს არჩევანი, რომელ ორგანიზაციაში გაწევრდეს.

„რუსეთის ჯარების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენს გადაწყვეტილებაზე გავლენას არ მოახდენს. აშშ და ნატო მხარს უჭერენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ცოტა ხნის წინათ ვაშინგტონში შეერთებული შტატებისა და საქართველოს პრეზიდენტებს ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა ჰქონდათ. ჩვენს შორის ურთიერთობები უმაღლეს დონეზე მომავალშიც გაგრძელდება. ვთვლი, რომ ამ დროის მანძილზე ჩვენი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ საკმაოდ კარგად წარმოვაჩინეთ“, — განაცხადა თინა ქეიდენაუმ.

კომენტარი

*საქართველოს პარლამენტში სამთავრობო საათი გაიმართა, რომელზეც მოწვეული ხუთი მინისტრიდან ოთხი - ხათუნა კალმახელიძე, ნიკა რურუა, დიმიტრი შაშკინი და ვანო მერაბიშვილი მივიდა. კიდევ ერთი მინისტრი, რომელიც ოპოზიციამ სამთავრობო საათზე დაიბარა, მაგრამ იქ არ მივიდა, იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი იყო. არადა, ოპოზიცია ყველაზე მეტად სწორედ ადეიშვილისა და მერაბიშვილის მისვლას ითხოვდა.*

*ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადებები, რაც პარლამენტში ვიზიტისას მინისტრებმა გააკეთეს, შემდეგია: ხათუნა კალმახელიძემ განაცხადა, რომ 2012 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების სიკვდილიანობის რიცხვი შემცირებულია. ნიკა რურუას განცხადებით, თურქეთსა და საქართველოს შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხზე ხელშეკრულების მხოლოდ პროექტი არსებობს და მოლაპარაკებები საპატრიარქოს გვერდის ავლით არ გამართულა, თუმცა იგი იქვე ლევან ვეფხვაძემ ამხილა ტყუილში, რის დამამტკიცებლადაც საპატრიარქოს მიერ გავრცელებული განცხადება მოიყვანა, სადაც ნათქვამი იყო, რომ საპატრიარქო ამ საკითხში არ იყო ჩართული.*

*ყველაზე საინტერესო მაინც ვანო მერაბიშვილის გამოსვლა იყო, რადგან მან საქართველოში რუსულ ინვესტიციებზე საუბრისას განაცხადა, რომ „რუსულ ფულს სუნი არ ასდის“, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო შუშის პოლიციის შენობების პროექტის ექსპორტს მინიმუმ 5 ქვეყანაში გეგმავს და ბოლოს, ვანო მერაბიშვილმა ამაყად განაცხადა, რომ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში საქართველოში არც ერთ პოლიციელს არც ერთი მოქალაქე არ მოუკლავს.*

*მოგეხსენებათ, თითოეულ მინისტრთან ფრაქციას „ერთიანი საქართველოსთვის“ წინასწარ ჰქონდა კითხვები მომზადებული და ამ კითხვებზე უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში ძალიან ბევრჯერ ისაუბრეს. ამიტომ ახლა მათი ჩამოთვლით ჩვენს მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ. რამდენად კმაყოფილია ოპოზიცია სამთავრობო საათზე გამართული დებატებით და მიიღეს თუ არა პასუხები თავის კითხვებზე, ამასთან დაკავშირებით Presage.tv ფრაქცია „ერთიანი საქართველოსთვის“ წევრს გია ცაგარეიშვილს ესაუბრა.*

# „მერაბიშვილი ჩვეულებრივი ყაჩაღია“

## რა და როგორ თქვეს მინისტრებმა სამთავრობო საათზე



— მოგეხსენებათ, სამთავრობო საათი შემდეგ თვესაც გაიმართება. სიმბოლურია, რომ ეს მოხდება 24 მაისს, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რომ ყველა კითხვა, რომელიც დღეს ადეიშვილის მისამართით ვერ დაისვა, აუცილებლად გაჟღერდეს. ასევე ჩვენ უკვე გავაფრთხილეთ ბატონი მერაბიშვილი, რომ სხდომათა დარბაზში აუცილებლად დაისმება კითხვები 26 მაისთან დაკავშირებით. ამ კითხვებზე უკვე ვმუშაობთ და სავარაუდოდ ისინი შინაგან საქმეთა მინისტრს უკვე ძალიან მალე გაეგზავნება. ამდენად, მას კიდევ ერთხელ მოუწევს სამთავრობო საათზე მობრძანება. მას სიამოვნებს ეს თუ არა, მე ნაკლებად მაღელვებს.

დებატებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ყველა ჩემმა კოლეგამ ფრაქციიდან, დაიკმაყოფილა ინტერესი და მეტ-ნაკლებად დასვა ყველა ის კითხვა, რომელიც დაზუსტების თვალსაზრისით მინისტრების მიმართ უნდა დასმულიყო. ვფიქრობ, რომ მინისტრებმა არც ერთ კითხვას პირდაპირი პასუხი არ გასცეს. გაგახსენებთ, ბატონი მერაბიშვილის პასუხებს, როდესაც იგი ამბობდა, რომ კომპეტენტური არ არის, ან უფლებამოსილი არ არის სხვადასხვა საკითხზე ისაუბროს. არადა, ამ წლების განმავლობაში მისთვის არაერთი წერილი მაქვს გაგზავნილი სხვადახვა კითხვით და წინადადებით, რაზეც მას პასუხი არ გაუცია, თუმცა ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა. ჩემი გამოსვლის დროს მე მიმოვიხილე მერაბიშვილის ტრაგიკული წარსული და მის ხელში ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული წარსული. შეგახსენებთ, გირგვლიანის მკვლელების შეწყალებას, რაც დაიწყო საააკაშვილმა და დაასრულა შაშკინმა, რისთვისაც მან ჯილდოდ მიიღო განათლების მინისტრობა. სწორედ ამით დავიწყე ჩემი გამოსვლა და დავასრულე 26 მაისის საზარელი მოვლენებით.

რაც შეეხება ადეიშვილს, ის საერთოდ რაღაც უხილავი პიროვნება გახდა ქართულ პოლიტიკაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ, როდესაც პარლამენტში სამთავრობო საათი მიმდინარეობდა, ბატონი ადეიშვილი ერთ-ერთ რეგიონში ამომრჩევლებთან შესახვედრად იყო გასული. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს არის სტეფანწმინდა. ბატონ ადეიშვილს რატომღაც ახლა გაახსენდა ამომრჩეველი და სტეფანწმინდა, მაშინ, როდესაც დაახლოებით 20 დღით ადრე იცოდა, რომ 26 აპრილს სამთავრობო საათზე უნდა მოსულიყო. არა უშავს, იგი მაინც მოვა აქ, ხოლო თუ აქ არ მოვა, მაშინ მოუწევს სხვაგან მისვლა და თუ სად მოუწევს, ამასაც ქართველი ხალხი გადაწყვეტს. თუ მას არ უნდა დეპუტატების წინაშე აგოს პასუხი, ძალიან მალე საქართველოში ჩამოყალიბდება სამართლიანი სასამართლო და სწორედ მის წინაშე მოუწევს ადეიშვილს პასუხისგება.

მე მგონი, ყველამ კარგად ვნახეთ მინისტრების პასუხები და გახსოვთ, ალბათ, ბატონი შაშკინის სახის გამომეტყველება, როდესაც ამბობდა, რომ ჩვენს მიერ დასმული კითხვები არაკვალიფიციური იყო. ამ არაკომპეტენტურ კითხვებზე რატომღაც მინისტრი შაშკინი კომპეტენტურ პასუხებს გვცემდა. თუ კითხვები არაკომპეტენტური იყო, მაშინ რა საჭირო იყო კომპეტენტური პასუხი?

მინდა გითხრათ, რომ ბატონი შაშკინი არის სამართალდამრღვევი. მას 2011 წლის 12 ივლისს გამოცემული აქვს ბრძანება №453 „უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მსურველთა ხელშეწყობის შესახებ“. ეს ბრძანება იუსტიციის სამინიტროში შესაბამისი წესით დარეგისტრირებული არ არის. იგი არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტს, საერთაშორისო კანონმდებლობას, რომელსაც საქართველო არის მიერთებული, ასევე „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონს და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. დღეს შაშკინმა პირველად აღიარა, რომ ეს ყველაფერი დაარღვია, მაგრამ მოიყვანა კანონის რაღაც მუხლი და განაცხადა, რომ ამ მუხლის თანახმად, ამ ყველაფრის დარღვევის უფლება ჰქონდა. მინდა გითხრათ, რომ კანონის დარღვევის უფლება არავის აქვს, არც შაშკინს, არც სააკაშვილს და არც ცაგარეიშვილს. რა უნდა გაგვიკვირდეს შაშკინისგან? ეს არის ადამიანი, რომელმაც გირგვლიანის მკვლელები შეიწყალა და თავისი მოსასვენებელი ოთახის უკანა კარიდან გააპარა. ამიტომ რა მოხდა ახლა, ერთი ბავშვი რომ დაჩაგროს? რა მოხდა, რომ ოპტიმიზაციის გამო სკოლები გააუქმოს და ბავშვები ათობით კილომეტრზე ფეხით ატაროს?

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, და რაც აუცილებლად უნდა მეთქვა, შაშკინმა გააკეთა ისეთი რამ, რაც მე მგონი, არც ერთ განათლების მინისტრს არ გაუკეთებია: მან განათლების სამინისტრო გადააქცია პოლიტიკურ პოლიციად. იგი დევნის და ავიწროებს თავის პოლიტიკურ ოპონენტებს. „თავისუფალი დემოკრატების“ რვა მხარდამჭერი და მათი ოჯახის წევრები გათავისუფლებულები არიან სამსახურებიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები არიან. მაგალითად, ია ბჟალავა (გორის მე-9 საჯარო სკოლის პედაგოგიძ, ციცინო ჯავახიშვილი (სოფელ ზემო ნიქოზის სკოლის ყოფილი მასწავლებელიძ, ქალბატონები, მაგული ბესიაშვილი, ქეთევან ხარაზიშვილი, ნათელა ნოზაძე, მაია ცხადიაშვილი, ბატონი ნოდარ კილაძე. ეს უკანასკნელი ხუთი ადამიანი ხაშურის რაიონის საჯარო სკოლებში მუშაობდა. ისინი პოლიტიკური ნიშნით არიან სამსახურიდან განთავისუფლებული. ბატონი შაშკინი ჟანდარმად გადაიქცა და ის ამაზე აუცილებლად პასუხს აგებს.

**— არ შემიძლია არ გთხოვოთ ვანო მერაბიშვილის იმ განცხადების შეფასება, როცა რუსულ ფულზე საუბრისას თქვა, რომ ფულს სუნი არ აქვს. ჩვენ ძალიან ხშირად გვესმის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსული ფულით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, რის გამოც მას რუსეთუმეს ეძახიან. გამოდის, რომ რუსული ფული ორი სახეობის არის და ერთ მათგანს, ანუ ივანიშვილის ფულს სუნი ასდის, მეორე ნაწილს კი — არა?**

— მოკლედ, ბატონ მერაბიშვილის საუბრიდან გამოდის, რომ თუ რუსული ფული პირდაპირ ვანოს ჯიბეში მოხვდა, ის უკვე არის ქართული წარმომავლობის და მის ჯიბეში რუსული ფული არ ყარს, სხვა ადამიანის ჯიბეში კი ის ყარს. როცა ბიძინა ივანიშვილისგან ბატონი მერაბიშვილი და საქართველოს მთავრობა მრავალი წლის მანძილზე ილებდა დაფინანსებას, რათა პოლიციელებს ჰქონოდათ ღირსეული ხელფასი, ჰქონოდათ კარგი მანქანები და ამ მანქანებში ყოფილიყო საწვავი, ილებდნენ დაფინანსებას, რათა პოლიციელი კარგად ჩაცმული ყოფილიყო, მერაბიშვილი ივანიშვილისგან ამ ყველაფერს რომ ილებდა, მაშინ ფულს სუნი არ ასდიოდა. როცა ბატონმა ივანიშვილმა გადაწყვიტა ოპოზიციურ პოლიტიკაში მოსულიყო და კანონიერი საშუალებებით, მათ შორის რუსეთში ნაშოვნი ფული ქართულ პოლიტიკაში დაებანდებინა, რათა ხელისუფლება არჩევნების გზით შეეცვალა, მის ფულს მყისიერად სუნი აუვიდა.

ვანო მერაბიშვილი არის ჩვეულებრივი ყაჩაღი, რომელმაც „ქართუ ბანკის“ მანქანაზე თავდასხმა დაგეგმა. სამწუხაროდ, ამ სხდომაზე დაზუსტებისთვის მხოლოდ სამი წუთი მქონდა და ვანო მერაბიშვილის უკანონობებზე რომ ვისაუბრო, არათუ სამი წუთი, არამედ 300 წელი არ მეყოფა. ვანო მერაბიშვილს ზუგდიდიდან ლაგოდეხამდე, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ჰყავს ზონდერ ბრიგადები, რომლებიც სცემენ და აწამებენ ადამიანებს. მე მას გადავუგზავნე ოპოზიციის 80 მხარდამჭერის სია, რომლებიც მათ ჰყავთ ნაწამები. აქედან ერთი საქმეც კი არ არის გამოძიებული. მე მას ეს კითხვა დავუსვი, მაგრამ მან ამაზე პასუხი არ გამცა. მერაბიშვილის ხელწერა არის ადამიანების დახოცვა და შემდეგ მათი გვამების მაღაზიის თავზე დაწყობა, დანარჩენი კი ფასადია. ფასადია პოლიციის გამჭვირვალე შენობა და გაწკეპილი პოლიციელი. მათი სახით ჩვენ ქვეყანაში გვყავს სამხრეებიანი კანონიერი ქურდები, რომლებიც პოლიციის მთავარი სამმართველოს ეზოში ღრიალებენ „მიშა, მიშას“, მაშინ, როდესაც უნდა ყვიროდნენ „საქართველო“.

**— ვანო მერაბიშვილმა ასევე გააკეთა ძალიან საინტერესო განცხადება, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში პოლიციელს არც ერთი მოქალაქე არ მოუკლავს. ამ განცხადებას როგორ შეაფასებდით?**

— ეს მართლაც საოცარი განცხადებაა, რომელზეც არც კი ვიცი, რა ვთქვა. ვერ გამიგია, მე დავხოცე 26 მაისს ის ხალხი? როგორც ჩანს, ბატონ მერაბიშვილს პოლიტიკური სკლეროზი აქვს, რაც უნდა, ახსოვს და რაც არ უნდა, არ ახსოვს. საკმარისია გავიხსენოთ ქიმერიძის საქმე, ასევე ორიოდე კვირის წინათ ადამიანი გარდაიცვალა გორის პოლიციის შენობაში. როგორ ამბობს ამას ადამიანი, რომელმაც უშუალოდ თავისი ხელით განახორციელა 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევები, რომლის უშუალო დავალებით გაანადგურეს ის ადამიანები, რომლებიც შემდეგ მაღაზიაზე შემოაწყვეს და თქვეს, რომ ისინი მაღალი ძაბვის სადენებმა შეიწირა?

**ნინო ჟღენტი,**

Presage.tv

ინფორმაცია

## პარტიები საარჩევნო პლაკატების განთავსების მოწესრიგებაზე მსჯელობენ

**საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულები არიან საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყონ ადგილები. თუმცა არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ კანონს პარტიები არ ემორჩილებიან. ისინი ერთმანეთის ბანერებს ხევენ და საკუთარ პლაკატებს აკრავენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურა ხარატიშვილი ამბობს, რომ თუკი საკითხი მოწესრიგდება, ეს შეღავათი იქნება თავად პოლიტიკური პარტიებისთვის. მათ აღარ მოუწევთ დიდი რაოდენობით ბანერების დაბეჭდვა, რადგან ეცოდინებათ, მათ პლაკატს არავინ ჩამოხევს.**

**ცესკოს რეკომენდაციებით მსგავსი ტიპის ბანერები უნდა განთავსდეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მეტროს შესასვლელებში, თბილისში არსებულ კინოთეატრებთან, სავაჭრო ცენტრებთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებთან. სკოლებისა და ბაღების სიახლოვეს, სადაც საარჩევნო უბნებია განთავსებული. ზურა ხარატიშვილი საფრანგეთის მაგალითს იშველიებს, სადაც თითოეულ კანდიდატს თითო სტენდი აქვს მიკუთვნებული.**

**ევროპის მაგალითის გაზიარებისკენ მოუწოდებენ პარტიებს „ქრისტიან-დემოკრატბიც“. საკრებულოში პარტიის წევრი ჯაბა სამუშია ამბობს, რომ უნდა განისაზღვროს კონკრეტული ადგილები, სადაც შეიძლება სარეკლამო ბანერის გაკვრა. რა თქმა უნდა, გამონაკლისი იქნება პარტიული ოფისები, სადაც, ცხადია, იმ გაერთიანების რეკლამა გაიკვრება, ვისი ოფისიც არის. ჯაბა სამუშიას თქმით, მთავარია, ადგილები თანაბრად გადანაწილდეს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.**

**News.ge**

◎ ნუთუ ეს მართალია?

# ინებეთ ახალი ბრენდი — კახთ ბატონი!



**„წინანდლის მამული — იოხთურ! რიგში დადიანების სასახლეა! შემდეგი რა იქნება? მეფე ერეკლეს სასახლე თელავში! დარეჯან დედოფლის სასახლე! მუხრან-ბატონის სასახლე! აბა, სასახლეები, სასახლეები, იაფად“! — ყველგან, ქუჩაშიც, ინტერნეტშიც გაიგონებთ მსგავს სიტყვებს...**

**ახლა ერეკლეს სასახლეს მიადგნენ! ამბობენ, სახელოვანი მეფის ძეგლსაც მიაყოლებენო. თუ მართლა ყაჯართ ტომებს მიჰყიდეს ის სასახლე, ყოველ დღე ცხენზე ამხედრებული მეფის ყურება ირანელებს სისხლს გაუშრობს და, ალბათ, ძეგლსაც მოაშორებენ...თვალს მიაფარებენ.**

**ოღონდ კი უცხოელებს აამონ, მავანთ საქართველო ფეხზე არ ჰკიდიათ?**

მკითხველი მიხვდება, ვისაც ვგულისხმობ და რაზეც ვდარდობ. თელაველებმა ამბავი ჩამოიტანეს, ხელისუფლებას ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმის განადგურება გადაუწყვეტია და მის ადგილას კაფე-ბარების მშენებლობას გეგმავსო. გასაიდუმლოებული ყოფილა ინფორმაცია ამ თემის ირგვლივ, უცნობია არქიტექტორი, ის ორგანიზაცია, რომელიც სამუშაოს ასრულებს, უცნობია დამფინანსებელიც. მოარულ ამბად ვრცელდება, რომ ეს სასახლე ხელისუფლებამ ვიღაც სპარსელს მიჰყიდა და, წინანდლის ბაღის მსგავსად, 49-წლიანი იჯარით გადაეცაო.

მედია-კავშირ „ობიექტივის“ ეთერით მოსმენილმა ამ ამბავმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გასაგებია ჟურნალისტ გია გაბრიჭიძის შეშფოთებაც, რომელმაც ეს ყველაფერი ვანდალურ აქტად, ხელისუფლება კი — ქართული ეთნოსის გამანადგურებლად მოიხსენია...

ობიექტივის სტუმრებმა გელა გორთამაშვილმა და გიორგი მოსიაშვილმა გულისტკივილით ილაპარაკეს ერეკლე მეფის სასახლის პრობლემაზე — ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ ათასობით უნიკალურ ნივთს, მათ შორის, იმ ტახტს, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა პატარა კახი, განადგურება ემუქრება, რადგან აქედან გადაუტანიათ, მაგრამ სად — უცნობია! ამის თაობაზე ადგილობრივი ხელისუფლება არანაირ ინფორმაციას არ ახმიანებს და თელაველები ვაკუუმში იმყოფებიანო. აუცილებელია დარაზმვა, ერთად დგომა, რათა ერთობლივი ძალისხმევით გადავარჩინოთ ეს სასახლეო — ასეთი იყო „ობიექტივში“ მიწვეულ სტუმართა სულისკვეთება.

თურმე ნუ იტყვით და, უკვე მაისის დასაწყისში აპირებენ ამ ისტორიული, მემორიალური შენობის — „კახთ ბატონის“ სასახლის ნგრევას.

— ამ ამბის გამგონე საფლავში გადაბრუნდება პატარა კახი, — მეუბნებიან კახელები, — პროტესტი აუცილებელია, თანაც სასწრაფოდ! არ უნდა დაყოვნდეს ერთი დღითაც კი. წინააღმდეგობის მოძრაობა აპირებს ყველანაირი გზით, მათ შორის გამოსვლებითაც, პროტესტის გამოხატვას. საპირისპიროდ, ხელისუფლება ამაყობს გრანდიოზული სამუშაოებით, ინფრასტრუქტურის გაჯანსაღებით, კულტურის მინისტრის მოადგილე ცხადაძემ ისიც კი თქვა, ეს სასახლე საერთაშორისო მნიშვნელობის სამუზეუმო ბრენდი იქნებაო. რაოდენ ირონიულად ჟღერს — გაყიდული და, იმავდროულად, ბრენდი...კახთ ბატონი!

აი, „თბილისის ფორუმის“ წევრთა საუბარიც — სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს:

— რა მოხდა ახლა, ჩვენ თუ ერეკლეს სასახლეს, ან ჭავჭავაძის მამულს, ანდა დადიანების სასახლეს გავასუხარებთ?

— დადიანების სასახლე, თორემ ეგეც ვერსალია, რა... უნივერსიტეტი დაანგრიეს, ანგრევენ აკადემიას და ეგ სოფლის სამრეკლო ვის დაკარგვია?

მით უმეტეს, რომ ცხრაჯერ უკვე იყო თვით ქართველთა მიერ გაქურდული (მაგრები ვართ, მოხდარა ისეთი სისაძაგლე საქართველოში, რომ თვით ქართველთა ხელი შიგ არ ერიოს?).

— დადიანების სასახლიდან ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გაზიდეს ბევრი რამ, სამოქალაქო ომის დროს არ ვიცი რა ხდებოდა, მაგრამ კიდევ ბევრი რამეა დარჩენილი, მარტო ნაპოლეონის ნიღაბი ღირს სამ მუზეუმად.

— ილიას სახლი საგურამოში? დაგავიწყდათ? მაგარი სადაჩე ადგილია.

— სიმონეთში კიდევ შემორჩა დავით კლდიაშვილის კარ-მიდამო... მაგარი ადგილია საagarაკოდ. სიჩუმეა, სიმყუდროვე (ტრასისაგან მოშორებულია!).

დავაი, ბიჭებო, ესეც გაყიდეთ...

— აბა! სასწრაფოდ! გორგასლის ამორტიზებული ციხე-ქალაქი თბილისთან ახლოს, უჯარმაში! საბაზროზე ნაკლებ ფასში!

— ზედაზნიანად, კაი ხედებია იქიდან. აი ახლა გამახსენდა, სიღნაღი თავის გალავნიანად ძაან კაი ფასში წავა.

მერე — ნელ-ნელა ზნამენიტი საფლავებს ლევილიდან გადმოვასვენებთ და მერე იმ ლევილსაც მივასუხარებთ?!

— ბოლო-ბოლო ბიჭებს მაყუთი ხომ უნდათ? ან იქნებ უკვე იყოს კიდევაც გასხვისებული....და ახალმა მეპატრონეებმა უთხრეს — მკვდრებს მიხედეთო!

— ასე 300-მდე საფლავი მაინც იქნება ლევილში. თუ მუხათგვერდში საფლავის ფასი 2000-დან 2500-მდე მერყეობს, ლევილში რა ეღირება საფლავი? — ალბათ 10 000-15000 ევრო....

— რა გინდა? 3 მილიონამდე ევრო არაა ცუდი შევსება ბიუჯეტისთვის..... მაგრამ გული მიგრძნობს, მაგ საფლავებს გაუფრთხილდებიან... რა იცი, რა ხდება, ვინ სად დალევს სულს და ვის რომელ ემიგრაციაში ამოხდება სული!

**...თუ ყველაფერი კარგად არის, საკითხავია, მაშინ რატომ ღელავს მოსახლეობა და საზოგადოება? მეფე ერეკლეს ეს სასახლე ერთადერთია საქართველოში მეფეთა სასახლეებს შორის, რომელმაც მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა პირვანდელი სახე. ძველი ნაგებობებიდან ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია ორი ეკლესია, სასახლე, აბანო და გვირაბი...და ახლა, რეკონსტრუქციის შემდეგ, ვინ იცის, ირანული არქიტექტურით სპარსულ ყაიდაზე გარდაქმნილი პირვანდელი სახე როგორ შეიცვლება და რამდენად მოსაწონი იქნება...ანდა, რა ბედი მოელის ექსპონატებს?...**

**...ვაი, თქვენ, ხმლებო ერეკლეს მეომართა, უწინ რომ თქვენს ერთ მოქნევაზე 20-დე თავი მიგორავდა!.. სად მოგისვრიან, სად მიგაჟანგავენ!**

**კახთ ბატონო — „ერეკლევ, მომგებო ასი ომისა“, საკუთარ თავს რომ უფლებას არ აძლევდი, ფუფუნებაში გეცხოვრა, შევნატრით თქვენს მცირე სასახლეს და პატარა, მოკრძალებულ ოთახს, სადაც ისვენებდი ქვეყნის ორომტრიალითა და საზრუნავით დაქანცული. მილიარდიანი სასახლის ქონაზე, მავანთაგან განსხვავებით, არც კი გიოცნებია. შენი სურათი დიდ ილიას სამუშაო ოთახში ეკიდა და ამით უზომო მოწიწებას გამოხატავდა! ყველამ იცის, რომ მაგ დიდ გულს სამშობლო არასოდეს გაუყიდია!**

**სამაგიეროდ — იყიდება, ერთ დიდ ტურისტულ ცენტრად გადაქცეული, შენი ხმლით შემოხაზული და შემოსაზღვრული საქართველო...მეომრული სული ნავლდება, ქართველები კი მომსახურე პერსონალად სჭირდებათ!**

**„იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!“**

თამარ შაიშმელაშვილი

◎ აკადემია

# ოცწლიანი იუბილეს გამოხმაურება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება მოეწყო: აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ხელშემწყობი ფონდისა და ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის ეგიდით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აშშ-ისა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავისადმი.**

კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ მოისმინეს მოხსენებები: მალხაზ მაცაბერიძის — აშშ-ის კონსტიტუციური გამოცდილება და 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლები, ოთარ ჯანელიძის — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და აშშ-ის ურთიერთობის ისტორიიდან (1918-1921 წწ.ძ, ქეთევან ქართველიშვილის — საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აშშ-ის დიპლომატიური მისიის ადგილმდებარეობის საკითხის გარკვევისათვის; მაყვალა ნათმელაძის — საქართველო-აშშ-ის ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიისათვის (1920-იანი წლებიძ; რუსუდან დაუშვილის — ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები აშშ-ში 1950-იან წლებში; ალექსანდრე დაუშვილის — ორი მთავრობა — ორი მიდგომა (1991-1992 წლებში საქართველოს მიმართ აშშ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკის მიზანშეწონილობის საკითხის გარკვევისთვისძ.




ცალკე გამოვყოფთ იშვიათ შემთხვევას — ჩამოთვლილ მომხსენებელთაგან ქეთევან ქართველიშვილი სტუდენტი გოგონა აღმოჩნდა... მოსმენილ საგულისყურო გამოსვლებს შთამბეჭდაობა შემატა ეკრანზე ფართო ილუსტრირებამ (მართალია, კაი ხნით დენი გამოირთო, რაც ცოტა გასაკვირია, რამდენადაც აკადემია თბილისის — ჯერ კიდევ დედაქალაქის — ცენტრში მდებარეობს და თანაც ხელისუფლება ასე ზრუნავს ქვეყნის ელექტრომომარაგებაზე; მაგრამ ილბლად, ენერგიის ადგილობრივი წყარო მზადყოფნაში იყო და ეკრანზე დემონსტრირება არ შეფერხებულა...ძ; იმასაც შევნიშნავთ, აგრეთვე გასაკვირად და დასანანადაც, რომ აშშ-ის საელჩოდან, დროული ინფორმირების მიუხედავად, კონფერენციაზე არავინ არ მობრძანდა...

**— თქვენი შეფასებით, რა მოუტანა ჩვენს ქვეყანას ამ ოცწლიანმა პერიოდმა აშშ-თან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა?** — ასეთი შეკითხვით მივმართეთ ორ კონფერენტანტს.

პროფესორი **ალექსანდრე დაუშვილი:**

— იმ ურთულეს გეოპოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში, რაც რეგიონში შეიქმნა ზესახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის დაშლის წიაღ, ქართველი ხალხისათვის აშშ-ის თანადგომა არსებითი, აუცილებელი გახლდათ. მატერიალურმა თუ მორალურმა დახმარებამ, საერთაშორისო სარბიელზე ყოველმხრივმა მხარდაჭერამ, განსაკუთრებით აშშ-ის მხრიდან ოფიციალური აღიარების შემდეგ, უზრუნველყო მსოფლიო მასშტაბით საქართველოს სუვერენიტეტის ცნობა და გაეროში უპრობლემო დამკვიდრება.

ამჟამად ეს გიგანტი სახელმწიფო გვევლინება მეგობრად და სტრატეგიულ პარტნიორად. საწყენია, რომ ამგვარი თანადგომის მიუხედავად, ვერც ერთმა ჩვენმა ხელისუფლებამ მაქსიმალურად ვერ გამოიყენა გაჩენილი შესაძლებლობები და ქვეყანაში ვერ დაამყარა ჭეშმარიტი დემოკრატია.

აკადემიკოსი **დავით მუსხელიშვილი:**

— რა მოგვიტანა და, ჩვენ თუ დღეს ხელფასებს ვიღებთ, ამერიკელთა წყალობითაა... ეგებ ეს ასე ნათლად არ ჩანდეს, ოფიციალურად შეიძლება ასე არ იყოს ცნობილი, მაგრამ ჩემი ფიქრით, საქართველოს მატერიალური მდგომარეობა, ჩვენი კეთილდღეობა არსებითადაა დამოკიდებული შტატებზე. ის, რომ ლარი რაღაცას წარმოადგენს, მათი დამსახურებაა...

ბატონ დავითის ამნაირი პოზიცია ბევრისთვის ეგებ მოულოდნელიც იყოს... ყოველ შემთხვევაში, ორიგინალური ნამდვილად არის და ამ სტრიქონების ავტორი, თუკი ეს ვინმესთვის საგულისყუროა, მას სავსებით იზიარებს...

თამაზ ებანოიძე

◎ ინფორმაცია

## ქართულმა საჩუქარმა ესტონელები საგონებელში ჩააგდო

**საქართველოს პარლამენტმა ესტონელ კოლეგებს 202 ბოთლი ღვინო გაუგზავნა. საჩუქარი დიპლომატიური ურთიერთობებიდან 20 წლისთავს მიეძღვნა. 101 პარლამენტარს ორ-ორი შეფუთული ბოთლი გადასცეს და საქართველოსადმი კეთილგანწყობისთვის მადლობა გადაუხადეს. ესტონელები საჩუქარზე უარის თქმით დიპლომატიურ სკანდალს ერიდებიან, მაგრამ მისი მიღებით საზოგადოების პროტესტის გამოწვევაც აშინებთ. საბოლოოდ, საჩუქარი მიიღეს და საპარლამენტო ფრაქციებს მიაბარეს.**

**ესტონელმა პარლამენტარებმა ღვინო უცნაურ საჩუქრად ჩათვალეს, ისევე, როგორც აზერბაიჯანელი პრეზიდენტის საჩუქარი — მომღერალი და მოძრავი ნავთობის კოშკურა. ესტონელები საჩუქრით ჩინელებმაც გააოცეს. აზიის კონტინენტზე ოფიციალური ვიზიტიდან ესტონელებმა დიდი ტელევიზორი ჩამოიტანეს, რომელიც ახლა ესტონეთის პარლამენტის მისაღებ დარბაზში დგას.**

**News.ge**

◉ სააკაშვილის გუნდში მოთამაშე ელჩები!

# დიმიტროვი დამოუკიდებელ ქართულ მედიას „რაიხსტაგის დაწვას“ აბრალებს





საქართველოში ევროკავშირის ელჩის ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, წინასაარჩევნო პერიოდში მედიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

**„აუცილებელია, პროცესები გაშუქდეს სამართლიანად, გამჭვირვალედ და ობიექტურად. 2011 წელს ჩვენ წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მონიტორინგის კვლევა განვახორციელეთ და მაშინ გავარკვიეთ, რომ ქართულ მედიას საკმაოდ კარგად შეუძლია ამ ამოცანას გაართვას თავი. იმედი გვაქვს, რომ 2012-2013 წლებში დაგეგმილი მონიტორინგისას კიდევ უფრო კარგ შედეგებს მივიღებთ“,** – განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

ამასთანავე, დიმიტროვი ქართველ ჟურნალისტებს დემოკრატიული სტანდარტების დაცვისკენაც მოუწოდებს:

**„არჩევნები კარს მოგვადგა და, ფაქტობრივად, ესაა დიდი გამოწვევა ყველა დემოკრატიისთვის. საარჩევნო პერიოდში არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად დემოკრატიულია ქვეყანა – ყოველთვის არსებობს გამოწვევები. არჩევნები წინააღმდეგობრივი საკითხია, მასში ყოველთვის არის გამარჯვებული და დამარცხებული. შეიძლება იყოს ისეთი სიტუაცია, როცა ყველა ბედნიერია, მაგრამ არჩევნები არის სიტუაცია, სადაც ერთი მხარე იმარჯვებს, მეორე – მარცხდება, ამიტომ კულტურა იმგვარად უნდა განვითარდეს, რომ საზოგადოებამ შედეგი მიიღოს. ამის მიღწევა რთულია, მაგრამ ამაში დიდი როლი ეკისრება მედიასაც და ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მედიას. ძალიან ხშირად მედია მიკერძოებულია და ეს არაა სიურპრიზი, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში ნამდვილად გვაქვს იმის ფიქრის საშუალება, რომ მასმედიის ქცევა მიუახლოვდეს დემოკრატიის ზოგადი წესებით დადგენილ მოთხოვნებს“,** – აღნიშნა ევროკავშირის ელჩმა.

დიმიტროვი არ აკონკრეტებს, ამ შემთხვევაში რომელ მედიასაშუალებებს გულისხმობს, რომელმა მედიასაშუალებებმა უნდა განავითარონ კულტურა ისე, რომ არჩევნების შედეგი საზოგადოებისათვის მისაღები აღმოჩნდეს. თუმცა ევროკავშირის ელჩს საქართველოს მიმართ კეთილი სურვილები ამოძრავებს. მისივე განმარტებით, ევროკავშირის სურვილია, საქართველო დემოკრატიული და წარმატებული იყოს.

ეს არაფერ შუაშია ევროპული სტანდარტის მედიასთან, მაგრამ ბატონი დიმიტროვის ერთი წლის წინანდელ რეაქციებსაც თუ გავიხსენებთ, როდესაც 2011 წლის 26 მაისის დარბევას მსხვერპლი მოჰყვა, შესაძლოა არა მხოლოდ მედიას, ჯანსაღ საზოგადოებასაც გაუჩნდეს გარკვეული ეჭვები.

მაშინ დიმიტროვი ამბობდა, რომ ასეთ სიტუაციებს ყოველთვის ახლავს საშინელი შთაბეჭდილებები და ასეთ დროს ადამიანს უარესი შედეგის წარმოდგენა უჭირს: **„როგორც მე მესმის, გარშემო ბევრი ადამიანი წუხს იმის გამო, რაც გუშინ მოხდა და, მართლაც, ეს არ არის ბედნიერების გამომწვევი წყარო... მაგრამ თუკი იფიქრებ, რომ შესაძლოა ბევრად უარესიც მომხდარიყო, მაშინ მე ვიტყოდი, რომ ეს არის ერთგვარი გამკლავება მეტად რთულ სიტუაციასთან“.**

თუ ხალხის დარბევა და ხოცვა-ჟლეტა რთულ სიტუაციასთან გამკლავებას გულისხმობს, რთულ სიტუაციასთან გამკლავება კი თავისთავად, ევროპულ (თუ დიმიტროვისძ სტანდარტებში ჯდება, ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თუ არჩევნების შემდეგ მედია აღელვებული ხალხის ზომბირებას შეეცდება, დიმიტროვისთვის დამაკმაყოფილებელ სტანდარტებსაც მივაღწევთ.

**რამაზ საყვარელიძე, ფსიქოლოგი:** „დასავლეთი ეთიკური ტიპის სტანდარტებზე აკეთებს ხოლმე აქცენტს, მაგრამ დემოკრატიული სტანდარტებისკენ მოწოდება, როგორც წესი, სახელისუფლებო პოზიციაზე მდგომი ხალხის ხვედრია, რადგან როდესაც სოციალური აღელვების პრევენციას ცდილობს ამ მოწოდებით ადამიანი, ამ შემთხვევაში – დიმიტროვი, ე. ი. ის ეხება ოპოზიციურ მედიას, რადგან ძლევარე მხარე არის ხოლმე ძირითადად, ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება და მათი განწყობილების გამტარებელი მედია. მათი დაწყნარება მხოლოდ სახელისუფლებო ინტერესშია.

როდესაც უცხოის გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ჩამოსვლაზე დაიწყო ლაპარაკი, ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო მედიის მონიტორინგი იმ კუთხით, რამდენად თანაბრად შუქდებოდა ოპოზიციისა და ხელისუფლების პოზიციები და რამდენად ობიექტურად შეეძლო საზოგადოებას სიტუაციაში გარკვევა, აწვდიდნენ თუ არა ნაციონალური არხები, განსაკუთრებით – რეგიონებს, იმ ტიპის ინფორმაციას, რომ ხალხს ქვეყანაში შექმნილი რეალური სურათი დაენახა. ბატონმა დიმიტროვმა თავისი განცხადებით ყველაფერი საპირისპიროდ შემოაბრუნა და ფაქტობრივად, დამოუკიდებელ მედიას მოუწოდებს, არჩევნების შედეგი, ობიექტური იქნება ის თუ არა, საზოგადოებას ისე მიაწოდოს, რომ ის მისთვის მისაღები გახდეს.

საბედნიეროდ, დიმიტროვი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა, ევროპოლიტიკური ელიტისთვის, რომ მისი სიტყვა ასახავდეს დასავლეთის განწყობას. ის ალბათ მოგვიანებით მიიღებს იმ ინსტრუქციებს, რომლის მიხედვითაც დასავლეთმა გადაწყვიტა გრძელვადიანი მონიტორინგი, მიიღებს შესაბამის ტექსტსაც, მაგრამ დიმიტროვის ასეთმა აშკარა მხარდაჭერამ ხელისუფლების მიმართ, შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ევროპული პოლიტიკა ცოტა დაკნინდეს დიმიტროვის ხელში“ – ამბობს რამაზ საყვარელიძე.

მაშინ, როდესაც მოხდა ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა და ზეწოლა სხვადასხვა მედიასაშუალებებზე, არც ელჩებსა და არც სხვა ჩინოვნიკებს რატომღაც დემოკრატიული სტანდარტები არ ახსენდებათ.

რაც შეეხება დიმიტროვის განცხადებას, მედიის დემოკრატიულ სტანდარტებთან დაკავშირებით, საინტერესოა იმ მედიასაშუალებათა წარმომადგენლების პოზიცია, რომლებსაც ბატონი დიმიტროვის მოწოდება ეხება.

**შალვა რამიშვილი, ჟურნალისტი:** „ვერ გეტყვით, რომ ელჩებს და ევროკავშირის ჩინოსნებს პოზიციას ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. დაახლოებით იგივე პოზიციაა, მატჩის დროს ფეხბურთის მოთამაშეებთან რომ მივიდეს მწვრთნელი და უთხრას, გოლი გაიტანეთ, გოლიო.

არჩევნები როგორც გაიმართება, ყველამ ვიცით. ეს იქნება საკმაოდ ცხარე, უკომპრომისო და, შეიძლება ითქვას, უსამართლო გარემო. ეს გარანტირებულია. არის სახელისუფლებო მედია და არის ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი მედია. მალე მედიაომბუდსმენიც იქნება და დიმიტროვის განცხადებები ამ სიტუაციაში რა როლს შეასრულებს, ნამდვილად არ ვიცი.

საინტერესოა, დიმიტროვი ლაპარაკობს თუ არა იმაზე, რომ არსებობს ორ ბანაკად გაყოფილი მედია, მიშას ტელევიზიები და მიშასგან დამოუკიდებელი ტელევიზიები, რომ მიშას ტელევიზიები უფრო ძლავრები არიან, ვიდრე სხვები და ასეთ შემთხვევაში სიტუაციის დამბალანსებელი რომ უნდა იყოს პირველი არხი, დიმიტროვი ამაზე ლაპარაკობს?

სურვილი მაქვს, რომ ევროკავშირის ელჩებმა და ჩინოსნებმა ილაპარაკონ საზოგადოებრივ მაუწყებელზე – იმაზე, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ისევეა მოქცეული მიშას გავლენის ქვეშ, როგორც მისი ჯიბის ტელევიზიები. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. თუ მაგალითები უნდათ, ავიღოთ იგივე ქვიშხეთში დატრიალებული ამბები, ქიმერიძის საქმეზე მოგახსენებთ. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაუშვა გაყალბებული სიუჟეტი და იგივე სიუჟეტი გაუშვეს მიშას ტელევიზიებმა. ამაზე ისაუბროს დიმიტროვმა, ეს მოითხოვოს. ეს უფრო სწორი, ლეგიტიმური და ადვილად მისაღწევი იქნება. გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ სადაც, სხვათა შორის, ევროკავშირის სტრუქტურების მიერ გამოყოფილი თანხებიც დაიხარჯა. ბრძნული რჩევები – კი ბატონო, მოგვცეს, მაგრამ, გითხარით, რასაც მაგონებს ეს ყველაფერი“.

**გიორგი იაკობაშვილი, ჟურნალისტი:** „მედიას შიგნით მართლაც გააჩნია პრობლემები პროფესიონალიზმისა თუ ფინანსური თვალსაზრისით. მედიას ასევე აქვს პრობლემები გარედან, ანუ ხელისუფლების მხრიდან, რომელიც უამრავ საჯარო ინფორმაციას ბლოკავს და ვერ ვიტყოდი, რომ ამ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება არსებობს.

სანამ ბატონი დიმიტროვი კომენტარებს გააკეთებს ამაზე, სანამ ოცნებას დაიწყებს, რომ საქართველოში არჩევნები ჩატარდეს დემოკრატიულ გარემოში და ნორმალური ვითარება იყოს, მანამდე იქნებ გაეკეთებინა ხელისუფლების მხრიდან მედიის დაცვაზე განცხადება, რაც მე პირადად, არ მომისმენია და რასაც სენსაციად აღვიქვამდი. არა მარტო იმიტომ, რომ ევროპელები ცდილობენ, ასეთ საქმეებში არ ჩაერიონ, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი ჩინოვნიკები ძალიან ხშირად ხელისუფლებასთან არიან დაახლოებულები.

თუ მართლა სურს ბატონ დიმიტროვს, რომ საქართველოში არჩევნები ნორმალურ გარემოში ჩატარდეს, ალბათ სჯობს, სხვა სახის განცხადებები აკეთოს და არა მარტო მედიასთან დაკავშირებით.

ქვეყანაში იმდენი პრობლემაა, რომ მასთან შედარებით მედიის შიდა პრობლემები შესაძლოა, მეათე-მეთორმეტე ადგილზეც კი არ იდგეს. დიმიტროვი კი ამ დროს ჩვენზე საუბრობს. ალბათ, იმიტომ, სასაუბრო თემა რომ ჰქონდეს და წარმოაჩინოს, რომ ხელფასს ტყუილად არ იღებს, მაგრამ ის დროც დადგება და ყველანი გავხდებით მომსწრეები, რომ ბევრი რამ გაირკვევა. ჩემი აზრით ბატონი დიმიტროვი მუქთახორაა და მეტი არაფერი“.

**როზი ჯღამაია, ჟურნალისტი:** „თუ ბატონი დიმიტროვი გულისხმობს, რომ ეს შედეგი, რაც დადგება, საზოგადოებისთვის მიუღებელი იქნება და ამის გამო ინფორმაციები უნდა დავმალოთ, დიდი ბოდიშის მოხდით ვეტყვით ახლავე, რომ ჩვენ ამას არ ვაპირებთ – დავწერთ და ვიტყვით იმას, რასაც დავინახავთ ფაქტების დონეზე. მერე საზოგადოება რას გადაწყვეტს, მისი საქმეა, ჩვენ არც საზოგადოების გაქეზებას და არც მის დაწყნარებას არ ვაპირებთ.

როდესაც ჩვენ გველაპარაკებიან დემოკრატიული სტანდარტების დაცვაზე, მე მათ ვუსვამ ასეთ კითხვას – ანალოგიურ დემოკრატიას ისინი საკუთარ ქვეყნებში თუ მოითმენენ? ჯერ ამაზე გვიპასუხონ და შემდეგ თავად განვსაზღვრავთ, რამდენად მოსათმენია, ან არ არის მოსათმენი ქვეყანაში არსებული დემოკრატია“.

როგორც რამაზ საყვარელიძე ამბობს, **სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად იღებენ ელჩები საკუთარ თავზე ობიექტური სიტყვის თქმის ტვირთს.**

**„ისინი ცდილობენ, იყვნენ კონფორმისტულები უპირველეს ყოვლისა – ხელისუფლების მიმართ, და ჩვენც, სამწუხაროდ, ხშირად ვამჩნევთ ხოლმე, რომ ელჩები ხელისუფლების გუნდში თამაშობენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად მათი სიტყვა ევროპულ სტანდარტად არის გასაღებული და ადამიანებს არბევენ იმ გამართლებით, რომ ეს ევროპულ სტანდარტებში ჯდება. მეორე დილას კი იქ გვამებს პოულობენ. ელჩები, სამწუხაროდ, იშვიათად გრძნობენ ხოლმე პასუხისმგებლობას, რომ მათ სიტყვებს მოჰყვება რაღაც შედეგები, რომელიც ძალიან შორს არის ევროპული სტანდარტებისგან“** – მიიჩნევს რამაზ საყვარელიძე.

**მარიამ თოდაძე**

◉ წკეპლიკა

# ეპოქათა შედარების საკითხისათვის

**სხვამ თავისი თქვას და ჩემს თვალში (და ყურში!ძ სრულიად აუტანელი გახდა პრეზიდენტი (ჰო, ჰო, მიხეილ სააკაშვილზე მოგახსენებთძ თავისი ყოველდღიური უსაშველო დედალი ტრაბახითა და მამალი ტყუილებით; დიახ, ყოველდღიურით – დედიმისის შვილია და ბებიამისის შვილიშვილი და თუნდაც ერთ დღეს გამოსტოვებს!.. სხვა საქმეა, რომ ჩემს თვალსა და ყურში ამგვარი „გახდომა“ გრძელ ფეხებზე ჰკიდია...**

**ერთ-ერთი საკვეხარი მშენებლობა აქვს ამ მშენებლობითაც გაგიჟებულს (აქვე სათქმელად, ეგებ ვიწამოთ ღმერთი და თუ „აღმაშენებელი არა, „მიშა მშენებელი“ მაინც დავარქვათ...ძ; – არც ერთ ეპოქაში, არც ერთ ხანაში საქართველოში ამდენი მშენებლობა არ ყოფილაო. კარგი და პატიოსანი, დავეთანხმოთ, რომ მართლაც არ ყოფილა, დროებით გადავდოთ საკითხავი, თუ ეგ მშენებლობები ვისი ხარჯითაა, ვისზეა შეწერილი, თან ყველა გვჭირდება თუ არა და შესაკითხსა თუ საკითხს სხვა კუთხით მივუდგეთ: რომ ვთქვათ, XX საუკუნიდან დაწყებული, საქართველოში არც ერთ ხანაში, არც ერთ ეპოქაში არ გვყოლია ასე ტრაბახა, თავის თავზე შეყვარებული, თავის თავით „ტკბობადი, თავის თავისთვის არცრის დამკლები („ღვინო, დუდუკი, ქალების“ ჩათვლითძ, ასე აპიარებულ-გაპრიალებული, გამდიდრებულ-გამილიარდებული, ახლობელთა ამომწევ-ჩამქონიანებელი, ამდენი საკუთრების შემძენი, მაგრამ ამდენი ქვეყნის ტერიტორიის დამკარგავი, ლიდერი, ანუ პირველი პირი, ან „ბელადი“, ანუ „მეფე“... არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა სწავლა-განათლება, მკურნალობა, მედიკამენტები, მგზავრობა, საწვავი, პროდუქტები ასეთი ძვირი, კბენიაფასებიანი, მრავალთათვის მიუწვდომელი... არც ერთ ეპოქაში არ მომხდარა, რომ ასე მოკლე ხანაში (რვა-ცხრა წლის სიგრძეზეძ საქართველოში ჩამოყალიბებულიყოს „ერთი მუჭა კაპიტალისტების“, ანუ სამთავრობო-სახელისუფლებო-საპარლამენტო გოგო-ბიჭების ასეთი ჩათქვირული, უძრავ-მოძრავი ქონებით „ჩაქონებიანებული“, გამეტიჩრებულ-გამედიდურებული კლასი... არც ერთ ხანაში ჩვენში ძალოვნებს (პოლიციას, სპეცრაზმელებს, სპეცდანელებსძ ქუჩებში არ ჩაუცხრილავთ უდანაშაულო ახალგაზრდები, არ დაურბევიათ შეკრებები, მიტინგები, საერთოდ, ასე სასტიკად არ მოპყრობიან საკუთარ ხალხს... არც ერთ ბოლო ეპოქაში საქართველოს მმართველს ასე მხოლოდ თავის ხუშტურზე არ უმართავს ქვეყანა, ასე საკუთარ თარგზე არ მოურგია კონსტიტუცია... არც ერთ ხანაში არ ყოფილა საქართველოში ამდენი მათხოვარი... არც ერთ ხანაში საქართველოში ასე იდუმალად, ასე „რებუსულად“ არ დაღუპულა პრემიერ-მინისტრი, თუ მილიონერი თუ გამოჩენილი მეცნიერი... ვის ექნება წინადადებები „ახალ“ საქართველოში ეპოქათა შემდგომი კლასიფიცირებისა და შედარების გარშემო?... გადავდივართ კამათზე...**

**ბერდია ბედოიძე**

## რას წერენ ჩვენზე




# საქართველოს გაკვეთილი ევროკავშირისთვის, როცა „ნაბუკო“ ინგრევა

ოფიციალურმა კრემლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი უნარი, აწარმოოს კულისებსმიღმა მოლაპარაკება და ჩაშალოს ევროკავშირის სტრატეგიული პროექტები. იმას, თუ რა ძნელად მიმდინარეობს ევროკავშირის დივერსიფიკაციის გეგმების რეალიზაციის პროცესი, ნათლად გვიჩვენებს ევროკავშირის ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ამჟამინდელი მდგომარეობა. „ერთიანი ევროპა“ უკანასკნელ წლებში ხდება მხოლოდ ლამაზი შირმა, რომლის იქითაც ველარ ფარავენ ცალკეული ვროპული ქვეყნების დაპირისპირებებსა და ამბიციებს. შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული სახელმწიფოების ეგოიზმი, მათი მოცულობის მიუხედავად, აჭარბებს საერთო ევროპულ ინტერესებს. საქართველომ, ევროპის ქვეყნების 90 პროცენტისგან განსხვავებით, შეძლო გამოთიშულიყო რუსეთის ენერგოდამოკიდებულებისგან და შეექმნა დამოუკიდებელი ენერგეტიკა. ამის შესახებ 21 აპრილს სვანეთში ნენსკრის ჰესის მშენებლობის დაწყების ცერემონიაზე განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, იტყობინებიან საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

„ჩვენ, ევროპის ქვეყნების 90 პროცენტისგან განსხვავებით, რომლებიც, სამწუხაროდ, კაბალურ დამოკიდებულებაში არიან და რომლებიც ამ მდგომარეობის გამო აწყდებიან რაღაც არაჩვეულებრივ პრობლემებს და იმყოფებიან დამამცირებელ მდგომარეობაში, მივაღწიეთ დამოუკიდებლობას“, – განაცხადა სააკაშვილმა. მისი სიტყვებით, დღეს საქართველოს აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საიმედო წყარო გაზმომარაგებისა (გაზს საქართველოს აწვდის აზერბაიჯანი) და საკუთარი ჰიდროენერგეტიკისა, რაც ენერგიის სუფთა, ეფექტიანი და დამოუკიდებელი წყაროა.

საქართველოს პრეზიდენტმა შეგვახსენა, თუ რა მოხდა 2005 წელს, როდესაც რუსეთმა გაუთიშა საქართველოს გაზმომარაგება და ელექტროგადაცემის ყველა ხაზი და აღნიშნა, რომ „საქართველო რომ დარჩენილიყო დამოკიდებული რუსეთის ენერგეტიკისგან, იგი დიდი ხნით ადრე უნდა დამშვიდობებოდა სახელმწიფო დამოუკიდებლობას“.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს იხსნება მშენებლობა სადგურისა, რომელიც იქნება თავისი სიმძლავრით მეორე ენგურჰესის შემდეგ. ორი თვის შემდეგ კი დაიწყება კიდევ ერთი დიდი სადგურის – ნამახვანის ჰესის მშენებლობა, რომელიც ნენსკრის ჰესთან ერთად თავისი სიძლიერით მიუახლოვდება ენგურჰესის საწყის სიმძლავრეს. ელექტროენერგიის წარმოების გაზრდა ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. „ენერგეტიკა – ეს არის ეკონომიკის ხერხემალი“, – განაცხადა პრეზიდენტმა. შევნიშნავთ, რომ ამ დღეებში რუსეთის დიპლომატიამ მეტად უნარიანად გამოიყენა დაპირისპირება უნგრეთსა და ევროკავშირის ხელმძღვანელობას შორის, როდესაც მოახერხა, რომ უნგრეთს უარი ეთქვა სტრატეგიულ გაზსადენ პროექტ „ნაბუკოზე“.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ორშაბათს განაცხადა, რომ უნგრეთის ნავთობგაზის კომპანია „მოლი“ ტოვებს გაზსადენ პროექტ „ნაბუკოს“. როდესაც ევროპის პოლიტიკურ ცენტრ ბრიუსელში გამოდიოდა, ვ.ორბანმა აღნიშნა, რომ პროექტი გადააწყდა სირთულეებს რეალიზაციაში, რასთან დაკავშირებითაც უნგრული „მოლიც“ კი გამოდის მისგან. „მოლის“ განცხადების თანახმად, „არსებობს უამრავი გაურკვეველი რამ ნაბუკოს პროექტთან დაკავშირებით, რომელთა უგულებელყოფაც რთულია“, გაზსადენის ღირებულება, რომელმაც უნდა მიაწოდოს სათბობი ევროპას, კასპიის რეგიონიდან რუსეთის გვერდის ავლით, მუდმივად იზრდება. ამავე დროს კომპანიის ცნობაში, რომელიც ორშაბათს გავრცელდა, არც ადასტურებენ და არც უარყოფენ, რომ იგი ტოვებს პროექტს.

ნაბუკოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა კრისტიან დოლეზალმა „ნიუ-იორკ ტაიმსს“ უთხრა, რომ მას არ გააჩნია რაიმე ცნობა უნგრეთის კომპანიის პროექტიდან გამოსვლის შესახებ.

ვ.ორბანმა ორშაბათს აღნიშნა, რომ რუსეთი ავლენს სულ უფრო მეტ აქტივობას პროექტ „სამხრეთი ნაკადის“ რეალიზაციაში, რომელმაც ასევე უნდა გაიაროს უნგრეთი. უნგრეთისთვის „არსებობს მარტივი ეკონომიკური მიზეზები“ რუსულ პროექტში მონაწილეობის სასარგებლოდ, თქვა მან.

ამავე დროს რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირებისთვის უნგრეთს აუცილებლად სჭირდება, ააგოს გაზსადენები მეზობელი ქვეყნებიდან, კერძოდ, სლოვაკიიდან, ხორვატიიდან და იტალიიდან, თქვა პრემიერმა.

ნაბუკომ, გეგმების თანახმად, უნდა მოახდინოს 31 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება წელიწადში ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებიდან და ამით შეამციროს ევროკავშირის დამოკიდებულება რუსული გაზის მიწოდებაზე. მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს საბოლოო გეგმები, როგორც მისი გაყვანის ტრასისა და დაფინანსების შესახებ, ისე, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მიწოდების წყაროებთან დაკავშირებით, რაც აუცილებელია მილსადენების შევსებისთვის. ირანს არ შეუძლია გახდეს მიმწოდებელი ეკონომიკური სანქციების დაწესების გამო. გაზი რომ მივაწოდოთ თურქმენეთიდან, საჭიროა მილსადენის მშენებლობა კასპიის ფსკერზე, ეს კი მოითხოვს შეთანხმებებს მეზობლებთან. ამრიგად, ერთადერთ უახლოეს პერიოდში პერსპექტიულ სარეზერვო ბაზად რჩება აზერბაიჯანი, სადაც 2017 წელს უნდა ამოქმედდეს საბადო „შაჰდენიზის“ მეორე სტადია წელიწადში 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ოდენობით. ბაქოს ჯერჯერობით არ მიუღია გადაწყვეტილება, თუ გაზის ტრანსპორტირების რომელი მარშრუტი იქნება ყველაზე ხელსაყრელი.

2010 წლის 29 იანვარს „გაზპრომი“ და უნგრული გაზის კომპანიები გამოვიდნენ ერთობლივი საპროექტო კომპანია „საუთ სტრიმ ჰუნგარის“ დამფუძნებლებად. 2011 წლის ოქტომბერში უნგრეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რწმუნებული კომპანიის შექმნის შესახებ პროექტ „სამხრეთი ნაკადის“ რეალიზაციის ფარგლებში უნგრეთის ტერიტორიაზე.

სხვათა შორის, ევროკავშირის გეგმებს, მოახდინოს ბუნებრივი გაზის მიწოდების დივერსიფიცირება, ხელს უშლის არა იმდენად მხოლოდ უნგრეთი რამდენადაც დიდი ქვეყნები. იმ ქვეყნების სიის სათავეში, რომლის წყალობითაც ევროკავშირი სულ უფრო ძლიერად ჯდება „რუსული გაზის ნემსზე“, არიან გერმანია, იტალია, საფრანგეთი.

მაგრამ ყველაზე მთავარი არის ის, რომ რუსეთი აპირებს განიმტკიცოს თავისი წარმატებანი. მაგალითად, ვ.პუტინის შეკითხვაზე გაზსადენ „სამხრეთი ნაკადის“ მშენებლობის დაწყების დროის შესახებ შავი ზღვის ფსკერზე, გაზპრომის გამგეობის თავმჯდომარემ ალექსეი მილერმა უპასუხა: „კომერციული გაზის პირველი მიწოდება „სამხრეთ ნაკადისთვის“ დაიწყება 2015 წლის დეკემბერში. ჩვენს პარტნიორებთან, ევროპულ კომპანიებთან – გერმანულთან, იტალიურთან, ფრანგულთან – შეთანხმებულია გრაფიკი, და დეკემბერში ვაპირებთ, დავიწყოთ მშენებლობა. ამასთანავე ამჟამად ყველა საძიებო, მოსამზადებელი და საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს მკაცრად გრაფიკის მიხედვით, და ჩვენ არ გაგვაჩნია არანაირი ეჭვი, რომ პროექტის რეალიზაციის ვადა სრულად იქნება დაცული“.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა პროექტ „სამხრეთი ნაკადის“ რეალიზაციისთვის გააფორმა სამთავრობათშორისო შეთანხმებანი ავსტრიასთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან, საბერძნეთთან, სერბიასთან, სლოვენიასთან და ხორვატიასთან.

Зеркало

# სამხრეთი ოსეთის აღდგენისთვის სამარელი მშენებელი გადმოისროლეს

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა რესპუბლიკის პრემიერის მოვალეობის შემსრულებლად სამარის სამშენებლო კომპანიის „ამონდის“ ხელმძღვანელი როსტისლავ ხუგაევი დანიშნა. სამხრეთ ოსეთში საუბრობენ, რომ მისი ფიგურა გახდა კომპრომისული რესპუბლიკის ხელისუფლებასა და მოსკოვს შორის.

ჩვენმა წყარომ სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელობაში აღნიშნა, რომ ლეონიდ თიბილოვი აჭიანურებდა ახალი პრემიერის დანიშვნას, რაც დაკავშირებული იყო მისი კანდიდატურის შეთანხმებასთან მოსკოვში. საბოლოო გადაწყვეტილებისთვის ბატონი თიბილოვი კვირის ბოლომდე რუსეთის დედაქალაქში ჩასვლასაც აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უკვე საჭირო აღარ იქნება. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, სამხრეთი ოსეთის კურატორები მოსკოვში მხარს უჭერდნენ ჩრდილოეთოსეთელი მეწარმის პეტრ ხუტიევის კანდიდატურას, მაგრამ ცხინვალი იყო წინააღმდეგი, იხსენებდა, რომ იმ ორი წლის განმავლობაში, როდესაც ხუტიევი ედგა სათავეში „სამხრეთ დირექციას“, რომელიც აწარმოებდა სამხრეთი ოსეთის ომისშემდგომ აღდგენას, სიტუაცია ცოტათი თუ შეიცვალა.



თავად სამხრეთ ოსეთში პრემიერის მოვალეობის შემსრულებელს შეეძლო თანაბარი ურთიერთობები დაემყარებინა ადგილობრივ პოლიტიკოსებთან. „ის არასოდეს მიძვრებოდა პოლიტიკასა და საქმეების გარჩევაში“, – განუცხადეს ჩვენს გაზეთს რესპუბლიკის მთავრობაში. მედია ცენტრ „ირის“ ხელმძღვანელის ირინა გაგლოევას სიტყვებით კი, ბატონი ხუგაევი მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პრაქტიკულად დაკავშირებული იყო სამარასთან, არ ივიწყებდა თავის თანამემამულეებს და „ყველაზე მძიმე პერიოდში, 1990-იან წლებში, მუდმივად ეხმარებოდა მრავალშვილიან ოჯახებს, თანაც ამას აკეთებდა წყნარად, გაუხმაურებლად“. „ხალხმა მისი დანიშვნა აღიქვა კეთილი განწყობით, – დაგვარწმუნა ქალბატონმა გაგლოევამ. – ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მის შემდგომ ნაბიჯებზე აღდგენასთან დაკავშირებით“.

Коммерсант

# რას მოიჭრის სააკაშვილი?

მიხეილ სააკაშვილი მზად არის წავიდეს ექსტრაორდინალურ ზომებზე აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებისთვის. ამისთვის იგი მზადაა მსხვერპლად გაიღოს პრეზიდენტის პოსტი და თავისი სხეულის ზოგიერთი ნაწილი.

„ჩემი პასუხი მეტად მარტივია: თუ ისინი მზად არიან, დაუბრუნონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, გაიყვანონ იქიდან თავიანთი ჯარები, მე დღესვე, იქნება ის ბატონი მედვედევი თუ რუსეთის რეალური მმართველი, მზად ვარ გავფრინდე, სადაც საჭიროა და მოვაწერო ხელი ხელშეკრულებას იმის შესახებ, რომ – ჩემს წასვლას ხელისუფლებიდან და ჩვენი მთავრობის წასვლას ვცვლი საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებაზე“, – თქვა სააკაშვილმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადებას, რომლის თანახმადაც მოსკოვი მზად არის, მოაწესრიგოს ურთიერთობა საქართველოსთან, მაგრამ ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ.

ამას გარდა, სააკაშვილმა განაცხადა: „მე მზად ვარ დამატებით მოვიჭრა და გავუგზავნო მათ ჩემი სხეულის ის ნაწილები, რომელთა მიმართაც მათ არაერთგზის გამოუჩენიათ ინტერესი“. „მე ამას ყოველგვარი ირონიის გარეშე ვლაპარაკობ“, – განაცხადა მან. სხვათა შორის, საქართველოს ლიდერმა არ დააზუსტა, თუ კერძოდ, მისი სხეულის რომელი ნაწილი აინტერესებთ მოსკოვში.

მისი აზრით, პრეზიდენტმა მედვედევმა თავის ინტერვიუში აღიარა, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას სურს, შეიცვალოს საქართველოს ხელისუფლება იმიტომ, რომ „წარმატებული საქართველო – ყველაზე დიდი კოშმარია მათთვის“. „ქვეყანა, რომელიც მათ გამოაცხადეს განადგურებულად 2008 წელს, აღდგა ფერფლისგან და მიაღწია ისეთ წარმატებებს, რომლებიც მიბაძვის საგანი გახდა არა მხოლოდ რუსეთის და მეზობელი ქვეყნების ოპოზიციებისთვის, არამედ რუსეთის დღევანდელი მთავრობისთვისაც“, – მიაჩნია საქართველოს პრეზიდენტს.

ამას გარდა, „მათ სურთ, შეცვალონ ხელისუფლება საქართველოში იმისთვის, რომ მოიყვანონ ისეთი ძალა, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად გვპირდება, დააკანონოს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია და შეურიგდეს ეგრეთ წოდებულ ახალ რეალობას“, – განაცხადა მ.სააკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 26 აპრილს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში მ.მედვედევმა თქვა, რომ მოსკოვი მზად არის, მოაწესრიგოს ურთიერთობა საქართველოსთან სააკაშვილის წასვლის შემდეგ. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მას „ცარიელი ადგილი“ და „ნული“ უწოდა, რომელიც ადრე თუ გვიან გაქრება პოლიტიკური ისტორიიდან“. „ქვეყნის ნებისმიერ ლიდერთან კი, რომელიც ჩვენ მოგვეწონება, მზად ვართ, ავაგოთ ურთიერთობანი, აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობანი, ვიაროთ ისე შორს, რამდენისთვისაც ისინი იქნებიან მზად“, – თქვა მედვედევმა.

Московский Комсомолец

## დედამიწის ზურგზე



**ესპანეთში გრიგალმა ლამის მასობრივი ავიაკატასტროფები გამოიწვია: თვითმფრინავები ჰაერში „დაცურავდნენ“**

ბასკების ქვეყანასა და ნავარას თავს დაატყდა გრიგალისებრი ქარიშხალი საათში 130 კილომეტრის სიჩქარით. ბილბაოს აეროპორტის ტერიტორიაზე ქარის სიჩქარე „სულ რაღაც“ 103 კილომეტრი იყო საათში, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მრავალტონიანი სამგზავრო ლაინერები ქალალდის თვითმფრინავებს დამგვანებოდნენ. საბედნიეროდ, დედამიწაზე დაჯდა ყველა, თუმცა ერთბაშად არა.

* * *

**მინსკში ჩერნობილის მიტინგმა ლუკაშენკოს გადასცა სალამი: „საშა, შენ რეგვენი ხარ?“**




პლაკატი „ახალგაზრდა ფრონტის“ წარმომადგენელმა ასწია თანამებრძოლებთან ერთად, რის შემდეგაც ისინი დაბლოკა რვა კაცმა სამოქალაქო ტანსაცმლიანმა. მიტინგზე დააკავეს რუსეთელები – „იაბლოკოს“ აქტივისტები – ისინი უხეში ფორმით შეყარეს მიკროავტობუსში, როდესაც მიდიოდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებისკენ. შუა ღამისთვის ისინი გაათავისუფლეს.

* * *

**ბინ ლადენის ცოლები და შვილები ღამით პაკისტანიდან გაიყვანეს**



მოკლული ტერორისტის სამი ცოლი და, სავარაუდოდ, 11 შვილი მიკროავტობუსით გაიყვანეს აეროპორტში, სადაც მათ ელოდებოდა ისლამაბადიდან საუდის არაბეთისკენ მიმავალი სპეციალური რეისი. „ალ-ქაიდას“ ყოფილი ლიდერის ნათესავების დეპორტაციის დროს პაკისტანის ხელისუფლებამ მიიღო უშიშროების გაზრდილი ზომები.

* * *

**„პასემ“ მიიღო „ანტირუსული“ რეზოლუცია სირიასთან დაკავშირებით და მზად არის შეუდგეს მაგნიტსკის საქმის განხილვას**

თითქმის ერთხმად მიღებული დოკუმენტი ბრალს სდებს სირიის ხელისუფლებას დანაშაულებში კაცობრიობის წინაშე, მოითხოვს მისთვის საერთაშორისო ტრიბუნალს და პრაქტიკულად ხელს აწერს ბაშარ ასადის განაჩენს. ასევე არის მოწოდება გაეროს უშიშროების საბჭოსადმი, შემოიღოს სანქციები იარაღის მიწოდებაზე. რუსეთის ყველა წინააღმდეგობა უარყოფილი იქნა.



№79. შაბათი, 28 აპრილი, 2012 წელი.

◎ ჩვენი ჯანმრთელობა

# 42 გრადუსი: კიბოს „სიცოცხლის“ ზღვარი

***მედიცინაში** ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ სნეულების მკურნალობის ყველაზე ეფექტიანი მეთოდი არსით ძალიან მარტივია. ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ისეთი მძიმე ავადმყოფობის მკურნალობის დროსაც კი, როგორიცაა კიბო.*

***დღესდღეობით სწავლული ექიმები წარმატებით ნერგავენ სხვადასხვა ავთვისებიან სიმსივნეებთან ბრძოლის ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ მეთოდს, რომელთაგან ერთი პაციენტის ორგანიზმის ტემპერატურის ზღვრულ მაჩვენებელზე მეტად აწევაზეა დაფუძნებული , მეორე კი პირიქით — მის გაცივებაზეა დამყარებული.***

### ციმბირელ მეცნიერთა მიგნება

დაახლოებით 20 წლის მუშაობის შედეგად ციმბირის ჰიპერთერმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა პროფესორ **ალექსი სუვერნევის** ხელმძღვანელობით ზოგადი პიკური ჰიპერთერმიის მეთოდი შექმნეს, რომელიც სხეულის ექსტრემალურ ტემპერატურებამდე გახურებას ითვალისწინებს, რაც კიბოს პროფილაქტიკისა და სიმსივნეთა რეციდივების მარტივი, მაგრამ უაღრესად ეფექტიანი ხერხია. ორი ათეული წლის მანძილზე მეცნიერები თავიანთ მეთოდს ჯერ ცხოველებსა და მოხალისეებზე, შემდეგ კი სამნახევარ ათას ავადმყოფზე გამოსცადეს, რასაც გართულების არც ერთი შედეგი არ მოჰყოლია!

ერთი თვის წინათ ციმბირელი მეცნიერები გერმანიის ქალაქ ვილჰელმჰაფენის გიზუნტის კერძო კლინიკაში მიიწვიეს, რომელსაც გერმანიის ჰიპერთერმიის საზოგადოების ყოფილი პრეზიდენტი, პროფესორი ვენერი ხელმძღვანელობს. ექიმებმა ხუთ ავადმყოფს ცხრა პროცედურა ჩაუტარეს და გერმანელ კოლეგებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს. ამის მერე გერმანელმა სპეციალისტებმა კიდევ შვიდი პროცედურა ჩაატარეს, ახლა კი მათ ბერლინის ცნობილ კლინიკა შარიტეში, ასევე ააჰენში, რუმინეთში, სერბეთსა და ბულგარეთის ვარნაში ელიან.

### მკურნალი სიცხე

პროფესორ სუვერნევის თქმით, ორგანიზმის გახურების მეთოდს მედიცინაში აგერ უკვე ნახევარი საუკუნის მანძილზე იყენებენ, მაგრამ აქამდე ცნობილი ხერხებით პაციენტის სხეულის ცელსიუსის 42 გრადუსზე მეტად გახურება ვერ ხერხდებოდა.

— ჩვენ იმის გაკეთება შევძელით, რაც მანამდე შეუძლებლად მიაჩნდათ და ადამიანის სხეულის ცელსიუსის 42-43 გრადუსამდე გახურების მეთოდი შევიმუშავეთ სიცოცხლისთვის საფრთხის შეუქმნელად, — ამბობს პროფესორი სუვერნევი. — დამტკიცებულია, რომ **ცელსიუსის 41 გრადუსზე მეტი ტემპერატურა კიბოს უჯრედების დაპროგრამებულ დაღუპვას იწვევს** (ნორმალური უჯრედები კი ტემპერატურის აწევას ცელსიუსის 44-45 გრადუსამდე იტანენ). ამ ტემპერატურის გადატანა კაცს ჩვეულებრივ პირობებში არ შეუძლია, ამიტომ **ჰიპერთერმიის პროცედურა ნარკოზის ქვეშ ტარდება, რა დროსაც ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია მიმდინარეობს, როცა ხელსაწყოები ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოს აკონტროლებენ.** ცხელი აბაზანის მიღებამდე კი პაციენტი ერთი დღე-ღამის განმავლობაში სტაციონარში მზადებას გადის — მას საგანგებო პრეპარატებს ასმევენ, რომლებიც ორგანიზმს სითბური შოკისგან იცავენ.

მეცნიერის თქმით, **ჰიპერთერმია კიბოსა და მისი რეციდივების საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა.** მაგალითად, როგორ უნდა მოიცილონ ექიმებმა დიაგნოსტიკისთვის უხილავი უჯრედების კოლონიები? ქირურგია ამ შემთხვევაში არ გამოდგება, ვინაიდან უცნობია თუ კონკრეტულად რა უნდა ამოიკვეთოს. ასევე არ ვარგა დასხივებაც. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციაც კი იმის გარანტიას არ იძლევა, რომ მომავალში მეტასტაზები არ გაჩნდება. არადა **თურმე შესაძლებელია არ დაველოდოთ ახალი სიმსივნის განვითარებას და მისი პრევენცია ზემაღალი გახურებით მოვახდინოთ! ჰიპერთერმიის შემდგომ ონკომარკერები ნოლზე დადის. ეს კი მოსახლეობისთვის კიბოსგან დაზღვევის შეთავაზების საშუალებას იძლევა — მსურველებს წელიწადში ერთხელ თბომკურნალობის ჩატარების გავლა მოუწევთ.** ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გაზრდილი სიმსივნეების დროს ჰიპერთერმია არა მარტო აღარ შველის, არამედ სახიფათოცაა.

### გაჯანსაღების გზა

მეცნიერი ასევე აღნიშნავს, რომ ჰიპერთერმია მთელ ორგანიზმს აჯანსაღებს: მის შემდეგ ნელდება დაბერების პროცესი, უმჯობესდება რეპროდუქციული ფუნქციები, ძლიერდება ლიბიდო. გარდა ამისა **იკვეთება ისეთ რთულ სნეულებათა პროფილაქტიკის პერსპექტივა, როგორებიცაა ჰერპესი, ქლამიდიოზი, B და C ჰეპატიტები, სიფილისი, შიდსი: ცელსიუსის 42 გრადუსზე ამ ავადმყოფობათა გამომწვევი ვირუსები და მიკრობები ერთიანად იხოცება.**



### სიცივის ელექსირი

ავთვისებიან სიმსივნეებთან ბრძოლის მეორე მეთოდი დაავადებულ ქსოვილთა გაყინვის შემდეგ მოკვეთაზეა დაფუძნებული, რომლის შექმნაში რუსეთელ მედიკოსს, ნოვგოროდელ სწავლულ ონკოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს **ვიაჩესლავ ჩერენკოვს** „ევროპის საუკეთესო ექიმის“ წოდება მიანიჭეს.

დაავადებული ქსოვილების გაყინვით მოკვეთა ერთ-ერთი ქმედითი ხერხია, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სიცივის ზემოქმედების შედეგად უჯრედული მემბრანები იშლებიან, გაყინვის ზონაში სისხლის მიმოქცევა წყდება, რაც ზედაპირზეც და ორგანიზმის შიგნითაც სიმსივნის სრულად დაშლის შესაძლებლობას იძლევა.

— ტრადიციულ ქირურგიულ მეთოდთან შედარებით კრიომეთოდის უპირატესობა ისაა, რომ მისი მეშვეობით სავსებით შეიძლება მეტასტაზების პრობლემის გადაჭრა — ორგანიზმში არც ერთი გადაგვარებული უჯრედი არ რჩება, რომელსაც ავადმყოფობის რეციდივის გამოწვევა შეუძლია, — ამბობს ვიაჩესლავ ჩერენკოვი. — ამ მეთოდს ფართოდ იყენებენ კრიოქირურგიასა და ოთოლარინგოლოგიაში. კრიოზონდებს ადენოიდების, ხორხში, ტრაქეასა და შუა ყურში ახალ წარმონაქმნთა მოკვეთისას იყენებენ. ამასთან, მედიკოსები ასევე ორგანიზმის არა მარტო ნაწილობრივი, არამედ მთლიანი გაყინვის მეთოდს მიმართავენ, როდესაც მრავალი სერიოზული ავადმყოფობის — ბრონქიალური ასთმის, ინსულტებისა და სხვათა მკურნალობისას იყენებენ. კერძოდ, ბრონქიალური ასთმის მკურნალობის დროს ცივი წყლის გადასხმის მეთოდს მიმართავენ, რომლის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მედიკამენტოზური მკურნალობისგან განსხვავებით მას თანმყოლი ეფექტი არ ახლავს.

— მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ვიდრე ყინულიან წყალს გადაივლებდეთ, აუცილებლად საჭიროა სრულფასოვანი გამოკვლევის ჩატარება, რათა გაყინვით მკურნალობის შესაძლო უარყოფითი შედეგი გამოირიცხოს და ნერვული, გულის სისხლძარღვთა და საშარდე სისტემების დაავადებები თავიდან აიცილოთ, — ამბობს პროფესორი იური ნოვიკოვი.

მეტიც: ექიმები იმასაც ამბობენ, რომ მალე სიცივეს ინსულტების რეაბილიტაციის დროსაც გამოიყენებენ — ორგანიზმს ცელსიუსის 35 გრადუსამდე გაყინავენ, რასაც სხეულის ყინულში ჩადებით, ანდა საგანგებო ხსნარის შეყვანით მოახდენენ, რაც თავის ტვინს „დააძინებს“ — ეს კი მას დაზიანებებისგან დაიცავს.

Аргументы и факты

◎ ინფორმაცია თემაში

**ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობის კიდევ ერთი ახალი — ონკოთერმიის მეთოდი. ფორმალურად ისიც ჰიპერთერმიას განეკუთვნება, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ეფექტი, კერძოდ, სიმსივნის უჯრედების დაზიანება, სუსტი მაღალსიხშირიანი ცვალებადი ელექტრული ველის ლოკალური ზემოქმედების შედეგად ხდება, ტემპერატურის აწევის წილი კი ამ პროცესში მხოლოდ 30 პროცენტია. აღნიშნული მეთოდის ეფექტიანობის კვლევა 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე ევროპისა და აზიის 30 სამედიცინო კლინიკაში ტარდებოდა.**

**საგულისხმოა ისიც, რომ ადგილობრივი ჰიპერთერმია ქიმიოთერაპიასთან ერთად, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედების გასაძლიერებლად, კიბოს ბოლო სტადიების მკურნალობისას გამოიყენება.**

◎ მხოლოდ კეთილი გულით ნათქვამი

# პროვინციიდან დანახული ქართული მედიის პარადოქსები

### 3. ქალაქია თუ სოფელი... ქალაქი ჯვარი?!

არ იფიქროთ, რომ სათაურის აბსურდულობას ვერ ვგრძნობდე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ აბსურდულობას ვერ გრძნობენ ტელეჟურნალისტები (ძირითადადძ, რომლებიც ქალაქ ჯვარის შესახებ (ან ქალაქ ჯვარიდანძ რამე ინფორმაციას გადასცემენ და ქალაქ ჯვარს სოფლად (უკეთეს შემთხვევაში — დაბადძ მოიხსენიებენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, ყველა თავისი რეპორტაჟით თავის თავს „შიფრავს“, თავის განათლების (ზოგადსაც და პროფესიულსაც!ძ ავლენს და მე რამ უნდა გამაღიზიანოს?!

რამ და, ჩემი მეზობლის შვილი — მეორეკლასელი თემური (ეჭვი მაქვს, თავისი მამის მიერ „დაგეშილი“!ძ იმწუთშივე, ან ინფორმაციის ეთერში გასვლის შემდეგ პირველივე შეხვედრაზე, სრული სერიოზულობით შემეკითხება: **„ბიძია გური, ჟურნალისტები სკოლაში დადიოდნენ ხოლმე“?**

— კი, შვილო, დადიოდნენ! ის კი არა უმაღლეს სასწავლებელშიც დადიოდნენ, ინფორმაციის მოპოვების მეთოდსა და ხერხსაც ასწავლიდნენ...

— აბა?!.. — მაწყვეტინებს (ხომ ვთქვი, მამამისზე მაქვს ეჭვი-მეთქიძ.

— მაგრამ თვითონ არ სწავლობდნენ! — სულმნათი ნოდარ დუმბაძის „ილეთით“ ვცდილობ, გავიდე ფონს, მაგრამ თემური ბირკასავით რომ მოგეკვრება, ადვილად ვერ მოიცილებ — მორიგი პროვოკაციული კითხვა მზად აქვს:

**— თუ არ სწავლობდნენ, აბ, მაშინ სამსახურში რატომ ამუშავებენ?**

რა გინდა, რომ უპასუხო?!

— მათი უფროსები ვერ ხვდებიან, რომ ასეთი ჟურნალისტები უვიცები არიან!

ბირკაზე რომ ვთქვი, ხომ გახსოვთ:

**— რატომ ვერ ხვდებიან?**

მიჯობს, ორივე ხელი დროზე ავწიო მაღლა:

— არ ვიცი! — და, სანამ თემური მორიგ „სარმას“ გამომდებდეს, ნაყინის ფულს ვუწვდი.

გახარებულ თემურის ქართული ჟურნალისტიკის პრობლემები ავიწყდება და მაღაზიისაკენ გარბის.

**მეც გახარებული ვარ, რადგან, ეს ფანდი რო არ მეხმარა, თემურის მორიგი კითხვა იქნებოდა: რატომ არ იცი?**

თემურიკო, თემურიკო! შარზე შარის დამატება მინდა კიდევ მე?!

### 4. სად მდებარეობს „სასომხეთი“?

**ხშირად გამიგონია და, ბუნებრივია, თქვენც გაგიგონიათ ტელეეკრანიდან: „სასომხეთში ვიყავი“..., „სასომხეთიდან ჩამოვიდნენ“..., „სასომხეთის წარმომადგენელი“... და ასე შემდეგ.**

არ გეგონოთ, რომ ამას ვინმე რიგითი ადამიანები ამბობდნენ. ამა თუ იმ დარგის, სფეროს ელიტის ზოგიერთ წარმომადგენელზეა საუბარი. სწორედ ამან შემიყვანა შეცდომაში. მე, სამწუხაროდ, ადამიანთა იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომელთაც ყველაფერი იციან და, საბედნიეროდ, აწი არაფრის სწავლაზე არ უხდებათ ტვინის ჭყლეტა. ჩემდა საუბედუროდ, ვერა და ვერ დავაღწიე თავი იმ, დღეს უკვე ძალზე მოძველებულ და ჩამორჩენილობის მიმანიშნებელ სენტენციის ბრჭყალებს, რომელიც გვარიგებს, რომ სწავლა სიბერემდეა, და რომელიც გვაეჭვებს, რომ ჩემზე უფრო ჭკვიანიც შეიძლება იყოს ვინმე ამქვეყანად.

ჰოდა, მეც ავდექი და გადმოვილე (რაზეც ხელი მიმიწვდებოდაძ ენციკლოპედიური ცნობარები, ატლასები, რუკები... მაგრამ, თქვენი თავი არ მომიკვდეს, სასომხეთს — ასეთ ვერც ქვეყანას მივაკვლიე, ვერც — ქალაქს, ვერც სოფელს — ვერც ვერანაირ გეოგრაფიულ სახელს.

არადა, ამას, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, ისეთი პატივსაცემი გვამები იტყვიან ხოლმე, შეუძლებელია, ტყუილს კადრულობდნენ.

**ამიტომ, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, ჟურნალისტებო, ჩემზე (სხვაზე პრეტენზია არა მაქვს, ყველანი კარგად გამყოფოთ ღმერთმა!) უფრო განათლებული და მრავლისმნახველი კაცი ამას რომ იტყვის, ძმობას გაფიცებთ, იქნებ ისიც ჩაეკითხოთ: სად, რომელ კონტინენტზე (ან სხვაგან) მდებარეობს ეს სასომხეთი? ან რომელ ლიტერატურულ წყაროებში შეიძლება ვნახოთ ცნობები მის შესახებ?**

**გური ხიოლია,**
საქართველოს პროვინციაში მცხოვრები პროფესიონალი მკითხველი და ტელემაყურებელი (ალაგ-ალაგ)

## იქნებ ასეც იყოს

# ფერვალი. რა არის თუ ვინ არის?..

არა, რა არის კი არა, მგონი, ვინ არის? სინამდვილესთან ეს უფრო ახლოს უნდა იყოს. **ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი,** – ამ სტრიქონზე და, კერძოდ, ფერვალზე დღემდე უკვე იმდენი დაიწერა, ეგების ერთი წიგნიც გამოვიდეს, და მე ვისი ტიკიტომარა ვარ, მაგრამ მაინც ვბედავ ჩემი მოსაზრების გამოთქმას იმ იმედით, რომ, რა იცი, ისეთ „უფსკრულებრ ღრმა“ პოეტთან გვაქვს საქმე, იქნებ ასეც იყოს. მით უმეტეს, თუ „ლექსი ლოგიკური სილოგიზმი არ არის, რომ ყველაფერი ერთმანეთისგან მათემატიკური სიზუსტით გამომდინარეობდეს“ (დ.წერედიანი). და თუკი ისევ ამ ციტატის ავტორს მოვიშველიებ, „ამ პერიოდის გალაკტიონი... უფრო წიგნითა და საკუთარი ფანტაზმებით შთაგონებული პოეტია, ვიდრე გარემომცველი სინამდვილით... სიმბოლიზმის პოეტიკამ მასზე ღრმა გავლენა მოახდინა და მისი მრავალი და მრავალი ლექსი სიმბოლურ განწყობილებათა წიაღიდან იშვა“. სწორედ ასეთი „ბუნდოვან ასოციაციათა მწკრივის“ ლექსია „საუბარი ედგარზეც“ და „ამგვარი ლექსის აზრობრივი ინტერპრეტაცია ყოველთვის სათუო საქმეა“.

სხვა რა გზაა, რახან გავბედე, უნდა მივყვე კიდეც ამ „სათუო საქმეს“.

მაშ, აბა, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ეს „საუბარი ედგარზე“, როგორც „დიდი ინფორმაციით კოდირებული ტექსტი“ (მ.შელეგია), რათა იქნებ ფარსაგად წაგვადგეს პოეტის მიერ გამოცანად ქცეული სიტყვის გამოცნობაში, რამეთუ „სიტყვა მარტო ის კი არ არის, რასაც გამოხატავს, არამედ ასოციაციათა ის კომპლექსიც არის, რასაც ის იწვევს...“

**„ლანდებს სასახლეში მხოლოდ**
**მაშინ ელი,**
**როცა საუბარი ედგარ პოეზეა!**
**აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი**
**დასდევს განწირულთა შავი პოეზია.**
**ხშირად მაგონდება:**
**ფოთლებშემოცლილი,**
**სახემიბნედილი ქალის მწუხარება!**
**მთვარით დაბურული,**
**მთვარით შემოსილი,**
**მთვარით დაძონძილი ოხვრა...**
**შეყვარება!**
**(რად ხარ უცხოეთში? მე შენ გელოდები!)**
**მოვა შუაღამის ბნელი სტუმარივით...**
**სანთლებს გაანელებს,**
**დარბაზს დააბნელებს,**
**მიდის სავარძელთან სხვაგვარ**
**მდუმარებით.**
**უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა,**
**ფარდა შეირხევა, როგორც ყრუ**
**ფოთოლი.**
**კოშკთა სიმაღლიდან რეკავს**
**მოლანდება,**
**ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი,**
**თანაც გაიხედავ: შენაც დაღამდები –**
**ირგვლივ დამჭკნარია ფერი და**
**ფერვალი;**
**ასეთ სანახავად – როგორც**
**თანამდები –**
**ბაღში შეშლილივით კვდება**
**თებერვალი!“**

ზოგიერთის ვარაუდით, სიტყვა „ფერვალი“ გალაკტიონური ნეოლოგიზმია (მ.ალავიძე), ხოლო ზოგი ფიქრობს, რომ „საყრდენი ტაეპის სარითმო სიტყვისა და, საერთოდ, ლექსის ევფონიის მოთხოვნით ფონის შემქმნელ სტრიქონში ხშირად ჩნდება აზრობრივად არცთუ მაინცდამაინც ნათელი და შესატყვისი სიტყვა“ (ალ.ფოცხიშვილი). აქაც ისევ სიტყვა „ფერვალზეა“ ლაპარაკი. არის კიდევ აზრი, თითქოს „ფერვალი“ გალაკტიონის მიერ შემოთავაზებული ტერმინია და შეიძლება რომ მოჭარბებულ ფერს აღნიშნავდეს და ეს **„იდუმალი**
**ფერი თუ ფერვალი,**
**პეწი თუ ეშხი,**
**ვარაყი თუ შარავანდია“,**
რომლისთვისაც სახელი ვერ დაურქმევიათ (ვ.ჯავახაძე). ამის დაწერისთანავე ჩვენი ენის ერთი ფრიად კითხული კაცის დაკვირვება წამომაგონდა: „ძნელია ასეთი დიდი შესაძლებლობების მქონე სხვა ქართველი პოეტის დასახელება, რომელსაც ასე ცოტა ეფიქროს ახალი სიტყვების შეთხზვაზე. ასეთი სიტყვები გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში საძებარია“ (ივ.გიგინეიშვილი).

როგორც თავშივე ვთქვი, ამ საძებარ სიტყვათაგან ერთ-ერთის „კვლევაში“ ჩართვა იმან გამაბედვინა, რომ „ფერვალის“ „მფერვთან“ დაკავშირების გამო მაშინვე ითქვა: „ეს ლიტონი განცხადებაა, რადგან სრულიად გაუგებარია, ვინაა თუ რაა ან როგორია დამჭკნარი ის, ვინც ფერვალს, გამფერავი“ (თ.დოიაშვილი). ჩემი აზრით, ასევე საეჭვო უნდა იყოს „ფერვალის“ სიტყვა „ფეროვანიდან“ წარმომავლობა (ალ.ფოცხიშვილი). მაგრამ რახან ითქვა „ვინააო“, მარტო „რა არის კი არაო“, ეს ერთგვარი ბიძგი გახდა იმისთვის, რომ „ფერვალში“ დამენახა მავანი სულიერი, მოსული „შუაღამის ბნელი სტუმარივით“ და „ფოთლებშემოცლილი“, ანუ დამჭკნარი... არადა რატომაც არა, უკეთუ „ლექსი ლოგიკური სილოგიზმი არ არის და ყველაფერი ერთმანეთისგან მათემატიკური სიზუსტით არ გამომდინარეობს“... როგორი წარმოსადგენია თანამდები, ანუ მოვალე თებერვალი, ვიღაცისგან სესხაღებული, რომელიც „ფოთლებშემოცლილ, დამჭკნარ ფერვალთან“ ერთად ბაღში შეშლილივით კვდება?!



ეს ლექსიც, როგორც ბევრი სხვა, მართლაც „იდუმალ, გაუხსნელ მინიშნებათა პრინციპზეა აგებული“ (დ.წერედიანი), რის გასაღებიც უთუოდ და უმთავრესად ფრანგულ სიმბოლიზმის პოეტიკაში უნდა ვიპოვოთ, რომლისთვისაც უცხო არ არის ლექსის არც „სემანტიკურ-ასოციაციურობა და არც ინტეგრალურობა“ (მ.კვესელავა).

ისიც შემჩნეულია, რომ გზადაგზა, აქა-იქ გალაკტიონი „ახსენებს „ტრიანონს“,„თეთრ შადრევნებს“, „ვერსალის ბროლს“ და უმალ გადავყავართ ბაროკოსა და კლასიციზმის ხანაში“ (ე.კვიტაიშვილი).

როგორც „არტისტულ ყვავილებამდე“, ისე თვით ამ კრებულში, მართლაც არცთუ იშვიათია ასეთი სტრიქონები: „ვით სამოთხიდან ალიგიერი, მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული“... „ხშირად ვიგონებ ბოდლერს“, „იყო შარლ ბოდლერი...“, „გადავშლი ბოდლერს... „გადმოვიღებ მიუსეს წიგნს“... დროდადრო ჩნდებიან გოტიე, ვერლენი, რენიე, ვერჰარნი („დროის ახალი დანტე“), პოეზე ხომ აღარაფერს ვამბობ, რომელიც ესოდენ ხშირი სტუმარია გალაკტიონისა და მისტიციზმის გარდა, ასოციაციებითაც ხუნძლავს („როცა მტრობაა და ედგარობა...“), აღარაფერს ვამბობ ტვენზე („შენ კითხულობდი ტვენს“), დიკენსზე („დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება“...) და განა ხან ჩვენდა უნებურად არ წამოგვაგონდება ხოლმე: „მასში მრავალი იყო შოპენი და პაგანინი ფანტასტიური“, „ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს, არ არის ძნელი მთების დადნობა...“ ანდა „მოსვლა ფერების: ვერონეზი და ტიციანი და ნიაღვარი...“ „და წავალ ქარში, როგორც მოცარტი...“ „და ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე...“ „თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი...“ ჰეგელისა თუ შოპენჰაურის და სხვა სიბრძნისმეტყველთა ხსენებას აღარ შევუდგები...

და რადგან „გალაკტიონმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა იდეის განფენის ხელოვნება, ქვეტექსტისა თუ ნართაულობის გამოყენების ოსტატობა... არა მხოლოდ კონკრეტულ ნაწარმოებს, არამედ ცალკეულ სიტყვებსაც სიმბოლური დატვირთვა ეძლევა“ (ნ.ტაბიძე)... და, ბუნებრივია, „მკითხველი, რომელიც შეძლებს ამ სიტყვების გაშიფვრას, თვითაღმოჩენიდან მომდინარე ტკბობით გაითანგოს...“ მეც დიახაც ასეთი „გათანგული“ მკითხველის მდგომარეობაში ვარ...

**მაშ, რა არის კი არა, ვინ არის ფერვალი?** აქ ჯერ იმ ბრძენ ფრანგთ მოვიშველიებ, რომელთა აზრიც, ზოგადად, ჩემს ვარაუდს ერთგვარად ამყარებს. ერთი წერს, რომ „სიმბოლიზმი სხვა არა არის რა, თუ არა აზროვნების რიტორიკული თეორია, სისტემის რანგში აყვანილი აზროვნება“ (პოლ ვალერი), ხოლო მეორის გაგებით, „არც სიცხადე და არც სიზუსტე ლექსში აუცილებელი არ არის“ (ანდრე მორუა). ეჭვშეუვალი აზრია ისიც, რომ ადრეული გალაკტიონი უფრო წიგნით... შთაგონებულია“, რასაც აშკარად მეტყველებს თუნდაც „არტისტული ყვავილები“ (1919 წ.), რომლის სამყაროც ღრმად რომანტიკულია, სადაც „პოეტმა მინიშნებების, ნიუანსებისა და ასოციაციების საშუალებით იშვიათი უშუალობითა და სილამაზით აამეტყველა თავისი დროის ადამიანის ყველაზე ფაქიზი განცდები“ (რ.თვარაძე). ერთი ამ ადამიანთაგანი კი, ცხადია, თავად პოეტი იყო და აკი შემჩნეულია კიდეც, რომ „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში ელავენ უცხოელი პოეტების, მხატვრებისა და ნაწარმოებთა პერსონაჟების სახელები“, რაც ამ ლირიკას ფართო ფილოსოფიურ კვარცხლბეკზე აყენებს (გრ.კიკნაძე)...




მაგრამ უცხოელი ავტორების ნაწარმოებთა პერსონაჟებზე ორიოდე სიტყვით აუცილებლად უნდა შევჩერდე, რადგან ჩემი ვარაუდი, რომელმაც „ბუნდოვან ასოციაციათა მწკრივი“ უნდა გამარღვევინოს, დასტურ აქეთ მიდის („აგერ, შემოდგომობის ცივი გრძნობა ამდორებს უმძიმესი ტომების გენიალურ ავტორებს“).

ვფურცლავ „არტისტულ ყვავილებს“:

**„ჩვენ ვიგონებდით გოტიეს გმირ ქალს,**
**ქალიშვილს ლამაზს, მადლენ**
**დე მოპენს,**
**რომლის წკრიალა და უდარდელ ხმას**
**რომანტიული ჟღერა მიმოფენს...“**

* * *

**„ის გაზაფხული გაქრა,**
**მეგი,იარა, წამო!..“**

* * *

**„და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,**
**რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი...“**

* * *

**„მე სხვა ქალებს ვერ დავემალები,**
**მათში ბევრია პროზა, ქრონიკა,**
**მაგრამ სხვა იყო შენი თვალები**
**და შენი კოცნა... ო, ვერონიკა!“**

* * *

**„მაგრამ ღიმილი გაიტაცეს ჩემი**
**გულიდან,**
**როგორც ლუვრიდან გაიტაცეს შორს**
**ჯიოკონდა!..“**

* * *

**„გაიწკრიალა სიმმა**
**შენი სახელი ემა“.**

* * *

**რად დაგავიწყდა**
**ძველ ნანგრევებზე ძველი ნავარდი**
**და ჰავაელი პატარა ქალი,**
**სახელად ემა?“**

* * *

**„ამაოა მთლად ცხოვრება,**
**დრტვინვის წუთისოფელია,**
**წადი... წადი მონასტერში,**
**მონასტერში ოფელია!“**

სანამ 1939 წელს ქეთევან ირემაძის მიერ თარგმნილ პრევოს მანონ ლესკოს ცნობილ ლექსს წააწერდა, გალაკტიონს ჯერ კიდევ თითქმის ოცდახუთი წლით ადრე აქვს დაწერილი:

**„მე კი, მოღრუბლულ დღით**
**მოწყენილი,**
**ავიღებ მანონს, სადაც ზონარად**
**მჭკნარი ალოე არის შთენილი**
**უკეთეს დროთა მოსაგონარად“.**

ანდა:

**„უცებ გაჩნდა ტრიანონის**
**კოშკში გულის ნდომანი,**
**დე გრიესა და მანონის**
**სევდიანი რომანი“.**

ამავე დროს ეკუთვნის ეს სტრიქონებიც:

„ამ დღეებს მისდევს ჩემი განდობა,
ფერფლდება თვალთა ბანოვანება
და ასე მჭკნარი ახალგაზრდობა
ნუთუ არავის არ ენანება?
ჰაერში ოხრავს ფოთოლთა ჩრდილი,
სწუხს ლაჟვარდებში მსუბუქი ქაფი
და შემოდგომის გზებზე დაღლილი
მიდიან გრიე და ზეინაბი“.

გოტიესაგან განსხვავებით, გალაკტიონი პრევოს (1697-1763), როგორც რომანის ავტორს, არ ასახელებს. პოეტი არც იმას ამბობს, ვინ არის, ვისი ნაწარმოების პერსონაჟია ზეინაბი, რომელიც მანონის ნაცვლად შესწყვილებია გრიეს. და უკეთუ ახალგაზრდობა შეიძლება რომ იყოს მჭკნარი, უკეთუ ახალგაზრდობა შეიძლება რომ დაჭკნეს, რატომ არ შეიძლება, რომ ბუნების ნაირნაირ ფერთან ერთად უკვე ახალ დროში დაჭკნეს ყალბი სიყვარულის ბადით გულუბრყვილო თაყვანისმცემლებზე მონადირე ახალგაზრდა ქვრივი ქალიც, რომლისთვისაც მწერალს ფერვალი დაურქმევია, ხოლო პოეტს ედგარ პოს „განწირულთა შავი პოეზია“ ახსენებს ასოციაციურად, რაც ესოდენ დამახასიათებელია და ბუნებრივია „არტისტული ყვავილების“ ავტორისათვის.

**ფერვალი** პრევოს თანამედროვე ფრანგის, არცთუ აგრერიგად ხელწამოსაკრავი მწერლის – **მარივოს** (1688-1763) ერთ-ერთი რომანის **(„იღბლიანი გლეხის“)** პერსონაჟია, რომელსაც უთუოდ იცნობდა ყოველივე ფრანგულით და, კერძოდ, ძველი და ახალი ფრანგული სიტყვიერებით გატაცებული ახალგაზრდა გალაკტიონი. თანაც, სხვა არა იყოს რა, **ფერთან კეთილხმოვნად შეწყვილებული ფერვალი** ფრიად შებუნებებულია „არტისტული ყვავილების“ არცთუ მცირე დოზის „იდუმალებით კოდირებულ პოეტიკასთან“. რაც შეეხება მარივოს ცნობას, თუკი პრევოს იცნობდა, რატომ არ შეიძლება რომ გალაკტიონს მარივოც სცნობოდა და სახელი ამ მწერლის საკმარისად გახმაურებული პერსონაჟისა (უკვე ჟამგასულისა, რაც ტექსტის მდინარებაშიც აგრე ჩანს) თავისი სათქმელის „გასაფერადოვნებლად“ მოევარგებინა?.. მით უმეტეს, თუ როგორც თავადვე ამბობს, „იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“... ანდა, უკეთუ „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით...“ და თუ სადღაც შორს მუსიკა კითხულობს: „ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი, ასეთი ცისფერი?“ და „შემოდგომის გზებზე დაღლილი“ ერთად მიდიან ფრანგი გრიე და ქართველი ზეინაბი, ხოლო ამ დროს „ჰაერში ოხრავს ფოთოლთა ჩრდილი“, ლაჟვარდებში კი „წუხს მსუბუქი ქაფი“, ასეთ ვითარებაში არც ადამიანის დაღამება მეჩვენება შეუძლებლად და არც თუ **„ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი“,** არც კიდევ თუ „ბაღში შეშლილივით კვდება თებერვალი“...



მარივოს „იღბლიანი გლეხის“ ერთ-ერთი ბოლო გამოცემის ყდა.

ერთი კია – გონებით გალაკტიონის წვდომა ნამდვილად შეუძლებელია, ალბათ, მხოლოდ შეგრძნებაა შესაძლებელი.

**გურამ გოგიაშვილი**

◎ პოეზია



# ლატვიური დაინები

დაინა ლატვიური ხალხური პოეზიის ორიგინალური ფორმაა, ზეპირსიტყვიერებაა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ჰქმნიდნენ უსახელო მელექსეები. იგი უმეტესად ერთი სტროფისგან შედგება და მოიცავს წარმართულ მოტივებს, ადიდებს ციურ ცთომილებს, პოეტურად აღწერს სატრფიალო განცდებს, ყოფა-ცხოვრებას მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ტურაიდას ეროვნულ ნაკრძალში დაინების მთელი პარკია, სადაც ლატვიური ფოლკლორის ბევრი გმირი ქანდაკებებშია განსხეულებული. დაინები, რომელთა თარგმანებსაც პირველად ვთავაზობ – „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს, შედის ჩემს ახალ წიგნში „ლატვიასთან მიახლოება". იგი ეს-ესაა გავასრულე და ვაპირებ წელს გამოვცე.

## რაულ ჩილაჩავა

მზე მთვარეს ეკამათება:
რად არ ანათებ დღითაო?
შენ – დღე და მე – ღამეზნელი,
ადრე ხომ ეგრე ვთქვითაო.
* * *
მე ვერაფერი გავაწყვე
ცასთან და მიწასთანაო.
ქრთამს ვაძლევ, უარს ამბობენ,
სურთ წამიყვანონ თანაო.
* * *
მე რომ იორღაც წამგვართოთ,
ჯავრი არ მომკლავს თქვენიო.
ბედნიერებას ვერ წამგვრით,
ხელთა მაქვს სადავენიო.
* * *
მზე ოქროს ნავში ჩაყვინთავს,
რომ ტკბილად მიდოს თავიო.
გაეღვიძება – ამოვა,
ნაზად ირწევა ნავიო.
* * *
მზემ უკვე ამოანათა,
მზით გვესალმება ზენაო.
ყველგან სიკეთე იქნება,
თუ ხარ კეთილი შენაო.
* * *
უფალო, მომეც განძი და
გამხადე სიბრძნის მქონიო.
განძი ამქვეყნად ცოტაა,
თუ შემოგაკლდა გონიო.
* * *
მეთევზის ცოლო, შავთვალავ,
ნუ გძინავს, ადე, ადეო,
ნავს იალქანი სჭირდება,
ზღვას – გასაშლელი ბადეო.
* * *
უფალო, თუ არ გისმინე,
მაშინ ვიქნები მე ვინო!
ყველასთვის მაჩუქებინე,
არვისთვის წამართმევინო!
* * *
სოფლის თავნება ღელეზე
გავდებ პატარა ბოგასო,
რომ განგაშის დროს პირველმა
სულზე მოგისწრო, მოყვასო!
* * *
მოვკვდები, ფერფლად ვიქცევი,
მაგრამ დამრჩება სიტყვაო,
დიდხანს იცოცხლებს ჩემს
სახლში
ის, რაც ალალად ითქვაო.
* * *
ძროხებო, ძოვეთ, ოღონდაც
ნუ გადათელავთ მოლსაო.
ბალახიც სულდგმული არი,
ტირის გათელილ ტოლსაო.
* * *
სუსტებმა ზილონ თიხა და
მაგრებმა ძირკვონ ხენიო,
მუქთახორებმა ვერასდროს
ვერ ნახონ სამოთხენიო.
* * *
ხალხო კეთილო, აქაა
სიბრძნის თავი და თავიო:
ბულბული გაგვაოცებდა,
არ ყოფილიყო ყვავიო?
* * *
ცოტა მაქვს მიწა საყანე,
მაგრამ პურს ვიწევ უხვადო.
ციცქნა ვარ, მაგრამ კი ძალმიძს
მტერს მტრობით გადავუხადო.
* * *
ვხედავ, მდინარის გადაღმა
მზეთუნახავი ზისაო,
მე კი გაღმა ვერ გავსულვარ,
ცხენს ეშინია წყლისაო.
* * *
მე ხისთვის დაუკითხავად
არ მომოჭრია წკნელიო,
ძმამ კი მეუღლე შეირთო,
არც უთხოვია ხელიო.
* * *
ამოვირბინე სერზედა
ტყეების მოსასმენადო:
მუხა, წიფელი, იფანი,
გაკრეფილიყვნენ ენადო.
* * *
გთხოვ, მონადირევ, მისმინო:
ტყვიას ნუ ესვრი გვრიტსაო.
მოკლულის თანამეცხედრე
სამი დღე ცრემლებს ღვრისაო.
* * *
გეყოფა, ბიჭო, ნუ ჭმუჭნი
ძვირფასი ჩექმის ყელსაო.
თუ გული იქნა თანახმა,
გაგყვები ფეხშიშველსაო.
* * *
ნაძვო, შენ მარტო არა ხარ,
მარტოს არ გარხევს ქარიო.
ნუ ტირი მწარედ, ობოლი
შენსავით ბევრი არიო.
* * *
არც დედ-მამა მყავს, არც და-ძმა,
ობლადა მიცნობს თემიო.
თელა, მუხა და წიფელი
და-ძმა გახლავან ჩემიო.
* * *
თუმც ობოლი ვარ, სიმღერა –
სიმღერით გამყავს დღენიო.
დედამ სიკვდილის წინ მითხრა:
ცრემლი არ ვნახო შენიო!
* * *
ქარში ნეკერჩხლის ფოთოლი
დაფრინავს ზერე-ქვერეო.
დიდხანს ათხოვეს გოგო და
ლოთს გაატანეს მერეო.
* * *
ვისაც გოროზი ქმარი ჰყავს,
სახეზე ვატყობ ხელადო:
საბრალო თითქოს ყინვაში
გასულა ფეხშიშველადო.
* * *
ხმაც რომ ჩაუწყდეს ძახილით,
ყურს არ დავუგდებ სხვასაო.
თუ საყვარელმა მომიხმო,
ცხენით გავაპობ ზღვასაო.
* * *
მზეო, ამოდი სისხამზე
და ჩადი გვიან, გვიანო.
მე აქ სამზითვოს ვამზადებ,
მე საპატარძლო მქვიანო.
* * *
იმ მხედარს გამაყოლებდეთ,
თეთრ ცხენზე ვინცა ზისაო.
დედილავ, შენ ხომ მასწავლე:
თეთრს შუქი მოსავს მზისაო.
* * *
საღამოს ჭრაქი ავანთე,
ოთახში მაინც ბნელაო.
ის განათდება, როგორც კი
შემოვა ჩემი ყველაო.
* * *
ცოლო, რა მოხდა, რად ტირი,
ცრემლები რადა გდისაო.
განა ხვნა-თესვა არ ვიცი,
განა გლახა ვარ ღვთისაო!
* * *
ნეტაი, რაღას მერჩოდი,
რისად შემირთე ძალადო.
გეყოლებოდა სხვა ცოლი,
ერთგული და უღალატო.
* * *
ბოროტმა დედინაცვალმა
ვაშლის ხის ტოტით მცემაო.
ვაშლის ხეს რაღას ერჩოდა,
მეხიმც კი დაეცემაო.
* * *
ჩემთვის არ უსწავლებია
კოცნა-ალერსი დედასო.
მე იგი ჩემით ვისწავლე,
ნუ მეტყვით ახალბედასო.
* * *
ცხოვრება დედამ მასწავლა,
ის იყო ჩემი სკოლაო.
ერთი რამ თვითონ ვისწავლე –
ბიჭთან საწოლში წოლაო.
* * *
დედიკო, დილით სამწყემსოდ
როგორ წავიდე, აბაო?
წუხელის სოფლის ბიჭებმა
შემომახიეს კაბაო.
* * *
მეეტლესაც და ბატონსაც
გასჭირვებიათ ძალზეო.
მეეტლე ეტლზე ქანაობს,
ბატონი პატარძალზეო.
* * *
რიგაზე ბევრი მსმენოდა,
და, აჰა, ვხედავ მასაო.
გარშემო მხოლოდ ქვიშაა,
თვითონ კი წყალში დგასაო.
* * *
ემანდ ვის სძინავს უძილოდ,
უფეხოდ გარბის მალიო.
უძილოდ სძინავთ ქვა-ლოდებს,
უფეხოდ გარბის წყალიო.
* * *
მითხარი, რით გაწყენინე,
რით ვერ გაამე, მარაო?–
ირგვლივ ხეები იზრდება,
ჩემი პატარა – არაო!
* * *
წინ გამიძეხი, ლაიმა,–
მე გამოგყვები უკანო,
რათა საფრთხეს და განსაცდელს
შენი წყალობით ვუგანო.
* * *
მე მივაჭედე ჩემს ლურჯას
მართლაც ფოლადის ნალიო.
წყალში ყინული ჩატეხა,
ქვას აადინა ალიო.
* * *
ქარი ხან მორცვებს ედება,
ხან ჩაივაკებს ტბაშიო.
ჩემი ძმა მიდის საომრად,
გული აქვს, როგორც კაჟიო.



◎ გილოცავთ, კოლეგა!

# იმედიანი აპრილის სხივით

ზოგი რომ საკუთარ წარმომავლობას და სადაურობას იშვიათად ახსენებს, ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა და კოლეგამ **ვაჟა დანელიამ** თავის მასალებს, ლამისაა ყველას, ნოსირელი მიაწეროს ხოლმე.



ათენი, 2004

რატომაც არა, ჩვენს ვაჟას, ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს, დიახაც, ეამაყება სენაკის რაიონის ერთ-ერთი ულამაზესი და ისტორიული სოფლის – ნოსირის შვილობა, მისთვის ხომ სრულიად საქართველო აქედან იწყება. და, როდესაც ნოსირს ხშირად სტუმრობს, ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ელოდებიან უძვირფასესი ადამიანები – დედა და დაიკოები, ახლობლები... – იქ ჩასვლის შემდეგ ათასჯერ უკეთესი განწყობით ვბრუნდები თბილისშიო, უთქვამს ხოლმე ვაჟას და ამაში დაუჯერებელი არაფერია... მის ნაწერებსაც – შესანიშნავ წერილებს, ნარკვევებს, რეპორტაჟებს, ინტერვიუებს, ინფორმაციებს ჩვენი სპორტული ცხოვრების შესახებ, აშკარად ეტყობა ავტორის „მიწის შვილობა", კოლხური მიდამოს სიმსუბუქე და სისადავე... ეს ნარკვევები და რეპორტაჟები ოცამდე კრებულში აქვს თავმოყრილი ვაჟას. ამ წიგნებს, სწორედაც რომ არ მოჰკლებია მკითხველი და, არა მარტო სპორტულ სამყაროში... ხატავს იგი ჩენი სახელოვანი სპორტსმენების პორტრეტებს, წერს შესანიშნავად და ქართული ფრაზის ოდნავ გამრუდებასაც კი არ გვპატიობს კოლეგებს... რა გასაკვირია: ჩვენთან, „საქართველოს რესპუბლიკაში", მუშაობის პარალელურად, იგი უკვე სამი ათეული წელიწადია, ქართული ენის აკადემიურ კურსს უკითხავს სტუდენტობას ილიას უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვადასხვა მხარის საგანმანათლებლო დაწესებულებებში...

ჰოდა, ამ გაწამაწიაში რომაა ჩვენი ნოსირელი, უკვე სამოცი წელიც ძუ მგელივით მოხტომია...

...გახსოვთ, 2004 წლის 18 აგვისტოს ათენის ოლიმპიადაზე ეპიზოდი, ზურაბ ზვიადაურმა დამოუკიდებელ საქართველოს პირველი ოქროს მედალი რომ მოუტანა? ტრიბუნაზე აღტაცებულ ქართველებს შორის, ტელეოპერატორებმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს ერთი აცრემლებული ქომაგი, იგი ჩვენი ვაჟა იყო... არც გაგვკვირვებია: გულიდან წამოვიდა ეს ცრემლი, სულიდან წამოვიდა (ვაჟა ხომ შესანიშნავ ლექსებსაც წერს) და პატარა საქართველოს დიდი გამარჯვების გამო უამრავი გულშემატკივრის სიხარულის ცრემლს შეუერთდა.

სიხარულებით მოგვრილი ცრემლი არ მოგეშალოს, ჩვენო ვაჟა, დაბადების 60 წლისთავს გილოცავთ, ჯანმრთელად იყავ!

**„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის სახელით –**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ვაჟა დანელია

### კოლხეთის მონატრება

მე გაზაფხულის ლაჟვარდი მხურავს,
კოლხეთის მიწის სურნელი მათრობს,
ტყემლის ფიფქების გროვაში ვცურავ,
მათოვს და მათოვს და განა მაკრთობს...
იმედიანი აპრილი მკურნავს,
მზე შორეთიდან მიგზავნის ამბორს,
მე გაზაფხულის ალერსი მნუსხავს
და კოლხი კაცის ღიმილი მათბობს.
* * *
ჩამომდგარია მატარებელი,
ცოტაც და იგი ბაქანს გასცდება,
საფლავის ქვაზე წარწერასავით
მარტოს დამტოვებ მე ჩემს განცდებთან.

ოცნების ფრთებით შეკრავ კამარას,
ვით ნებიერა – გაველურდები,
ო, რარიგ მწყდება გული, იცოდე,
რომ არასოდეს დამიბრუნდები.

### ბათუმი

ზღვის ნაპირზე კოპწიაობს ქალივით
და პალმები ხელთ უპყრია მარაოდ,
მზის სხივებით სახეგადაბადრული
ზღვის ტალღებში ირწევა და ბანაობს.

### ყარაყუმი

შორს სანთელივით ქრებოდა მთვარე,
მზე ინთებოდა ჩალისფრად, ნელა,
არსად მანანა – დილის ცვარ-ნამი
და არსად შუბლზე ცას ცისარტყელა.

ირგვლივ მეფობდა მხოლოდ სიჩუმე,
გარიდებოდნენ მზის სხივთ ქარებიც,
ფერხთით განრთხმული უსასრულობა
შემომცქეროდა უწყლო თვალებით.

და ისიც, ჩემებრ, ფიქრებს ებრძოდა,
ტანი ეწვოდა უგემ-ურგები,
თაკარა ცის ქვეშ ჩრდილებს ეძებდნენ
გახუნებული ქვიშის ზურგები.
* * *
ლომის ბურჯს როცა გადააბოტებს
მზე, მეწამული, შენარცისდება,
თავს ჩამოიხრჩობს ხეზე სიმწვანე,
ბუხარში ალი აყირმიზდება.

დაამაძღრებენ ქვევრებს მაჭრები,
კისერს მოსტეხენ სურა-ფიალებს,
დღე ჩამომარცვლავს ფოთლებს,
ფერმიხდილს,
ხეებს კი ტანში შეაჟრიალებს.

იქირქილებენ კართან ქარები,
ჩამორეკავენ წვიმებს ზარებად
და შემოდგომა, შემოძარცვული,
ორღობეებით გაიპარება.
* * *
მსმენია, გრძნობანამეხარ
ზღვასაც სტკივაო ზღვისა,
შენ კი შენიც რომ არ გესმის,
როგორ გაიგებ სხვისას?!

[illegible]

ბანკი: სს საქართველოს ბანკი
თარიღი: 03/31/12

ეკონომიკური ნორმატივები

| | | საანგარიშო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | კაპიტალი | | |
| 1 | ძირითადი კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 8% | 15.24% | 12.65% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 12% | 18.18% | 15.59% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიანი აქტივებით | 112.78% | 118.03% |
| 4 | [illegible] | | |
| | შემოსავლიანობა | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიური აქტივებით | 12.38% | 11.68% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიური აქტივებით | 6.41% | 6.02% |
| 7 | საოპერაციო მოგება / საშუალო წლიური აქტივებით | 5.02% | 4.15% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 5.98% | 5.58% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 3.96% | 1.05% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 21.03% | 6.07% |
| | აქტივების ხარისხი | | |
| 11 | [illegible] | 6.98% | 9.03% |
| 12 | [illegible] | 5.97% | 8.02% |
| 13 | [illegible] | 57.48% | 78.57% |
| 14 | [illegible] | 54.78% | 68.04% |
| 15 | [illegible] | 3.48% | -8.11% |
| | ლიკვიდობა | | |
| 16 | [illegible] | 24.22% | 28.77% |
| 17 | [illegible] | 71.7% | 77.58% |
| 18 | [illegible] | 31.18% | 27.98% |

[illegible]

ბანკი: სს საქართველოს ბანკი
თარიღი: 3/31/12

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა
1 [illegible]
2 [illegible]
3 [illegible]
4 [illegible]
5 [illegible]
6 [illegible]
7 [illegible]
დირექტორატის საბჭოს შემადგენლობა
1 [illegible]
2 [illegible]
3 [illegible]
4 [illegible]
5 [illegible]
6 [illegible]
7 [illegible]
8 [illegible]

| | | |
|---|---|---|
| | [illegible] | |
| 1 | BNY (NOMINEES) LIMITED[1] | 1.28% |
| 2 | Bank of Georgia Holdings PLC | 98.35% |

[illegible][2]

| | | |
|---|---|---|
| 1 | East Capital Managed funds | 16.8% |
| 2 | Firebird Management | 9.5% |
| 3 | DF-Pohjola Bocap Central Cooperative | 5.4% |

[1] BNY (Nominees) Limited-ი [illegible]

[2] [illegible]

# გაზეთი, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება!

## გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ!

## საქართველოს რესპუბლიკა

## ძიუდო

# ორი „ბრინჯაო“ და სრული ნაკრები



**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მიზანს მიაღწია — ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში სრული შემადგენლობით გაემგზავრება. ჩელიაბინსკის ევროპის ჩემპიონატამდე საეჭვო მხოლოდ 66 კილო იყო, მაგრამ ლაშა შავდათუაშვილმა შესანიშნავად იჭიდავა, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა და პეტერ ზაიზენბახერის გუნდს პრობლემა იოლად გადაუჭრა.**

ასპარეზობის პირველ დღეს რუსულ ტატამზე მჩატე წონების წარმომადგენლები გავიდნენ. ამირან პაპინაშვილმა ზედიზედ სძლია სლოვენიელ მატიას ტრაბოვიჩს, ებრაელ არტიომ არშანსკისა და ჰოლანდიელ ჟეროენ მოორენს, ნახევარფინალური პაექრობა კი მომავალ ჩემპიონ ზელან მუდრანოვთან (რუსეთი) დათმო. ქართველმა ფალავანმა ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლაში ავსტრიელ ევროპის ჩემპიონს, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ ლუდვიგ პაიშერს ორი ვაზარით აჯობა. ამავე წონაში ბეთქილ შუკვანმა მე-7 ადგილი დაიკავა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლაშა შავდათუაშვილს სტარტზევე მრისხანე მეტოქე შეხვდა — ევროპის ჩემპიონატების სამივე სინჯის მედლის სომეხი მფლობელი არმენ ნაზარიანი, მაგრამ წარმატებით დაძლია ეს ბარიერი, შემდეგ უკრაინელი სერჰიუ დრებოტი ჩამოიშორა გზიდან, თუმცა მეოთხედფინალში თავადაც წააგო, ასევე, მომავალ ჩემპიონ ალიმ გადანოვთან (რუსეთი), სამაგიეროდ, სანუგეშოში იყოჩაღა: ესპანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი სუგოი ურიარტე, ფრანგი დავიდ ლაროსე დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. შალვა ქარდავამ ორ მეტოქეს კი სძლია, მაგრამ ლაროსეს დანებდა და მაყურებლებში გადაინაცვლა.

**ლექსო ცინცაძე**

## ჭიდაობა

### „თავისუფლების“ შვიდკაცა

**თავისუფალი სტილით მოჭიდავე ოთარ თუშიშვილმა (66 კგ) ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. ჩინეთის ქალაქ ტაიუანში გუშინ დაწყებულ სალიცენზიო ტურნირზე პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ფინალში გავიდა და საქართველოს ნაკრების სალონდონო განაცხადი ბოლომდე შეავსო.**



### 9 მედალი, სამივე სინჯისა

**აზერბაიჯანში გრძელდება ჭაბუკ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.** ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩვენმა ბიჭებმა ცხრა მედალი მოიხვეჭეს: სამი ოქროსი, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოსი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გელა ბოლქვაძე (63კ, სახელოვანი მწვრთნელის — დათო დავითაიას შვილიშვილი ნიკოლოზ კახელაშვილი (85კ და ბექა კანდელაკი (100კ. მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ რამაზ ზოიძე (46კ, გიორგი ტოტიკაშვილი (58კ და მურთაზ ჩაბრავა (63კ, ხოლო გენადი ჩიტაძე (42კ, ლაშა ებელაშვილი (58კ და ნიკა გავაშელი (76კ მესამე ადგილებზე გავიდნენ.

## მკლავჭიდი

# ახლოა პოლონეთამდე

**წლეულს, 13-20 მაისს, პოლონური გდანსკი მკლავჭიდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც იასპარეზებენ. საქართველოს ორივე ნაკრები ტურნირზე 12-13 სპორტსმენით გაემგზავრება. ეროვნული გუნდის დასაკომპლექტებლად რამდენიმე წონაში საკონტროლო შეხვედრებიც გაიმართება, თუმცა ძირითადი ბირთვი საქართველოს ჩემპიონატზე გამოიკვეთა, რომელიც „ივენთ ჰოლში“ გაიმართა. მედლებისთვის პაექრობაში სხვადასხვა რეგიონის 200-ზე მეტი წარმომადგენელი ჩაება.** კვლავ შეუდარებელი იყო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი გენადი კვიკვინია (110 კგძ, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრებში ორივე მკლავით სძლია ლევან საგინაშვილს და ორი ოქრო მიითვალა. მას მესამედაც შეეძლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა, მაგრამ აბსოლუტური პირველობის ფინალური ორთაბრძოლა 100 კილოში მარჯვენა მკლავით გამარჯვებულ ვასილ დაუთაშვილთან დათმო. ამ წონაში ცაციათი უძლიერესი იყო გურამ თაშურიშვილი.



ვილენ გაბრავა ევროპის სამგზის ჩემპიონია 60 კილოში. ამჯერად მან 65 კილოში მოსინჯა ძალები და ორივე მკლავით ოქროს მედლები მოიპოვა. მის უწინდელ წონაში კი ლაშა კახელიშვილმა (მარჯვენა მკლავითძ და გელა არაბულმა (მარცხენათიძ გაიმარჯვეს. დანარჩენ წონებში პირველ ადგილებზე გავიდნენ: 70 კგ. ალექსი აბუთიძე (მარჯვენა) და ილია კვანჭიანი (მარცხენა), 75 კგ. ზაზა თაბაგარი (ორივე მკლავითძ, 80 კგ. გიორგი ფალიაშვილი (მარჯვენაძ და გიორგი ალბუთაშვილი (მარცხენა), 90 კგ. პეტრე წიქარიძე (მარჯვენაძ და ირაკლი გამთენაძე (მარცხენაძ. საქართველოს ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ერთ კვირაში გახდება ცნობილი.

**გივი გაგუა**

## ცურვა

# რეკორდმა ლიცენზია ვერ მოუტანა

**ქართველი მოცურავე ირაკლი რევიშვილი პეკინის ოლიმპიადის მონაწილეა. იგი ახლა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრად იბრძვის, საქართველოს ნაკრების წევრებთან — ირაკლი ბოლქვაძესთან, თემურ კობახიძესთან და დავით სიხარულიძესთან ერთად ბრესტში იმყოფება და ბელარუსის სალიცენზიო ღია ჩემპიონატშიც იასპარეზა.** თავისუფალი ყაიდით 400 მეტრი 4.00.40-ში გაცურა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. რევიშვილმა მე-2 ადგილი დაიკავა იმავე ყაიდით 200 მეტრზე (1.52.32ძ, ოლონდ აქ 2009 წლის რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის მიერვე დამყარებული საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა, თუმცა 2012 წლის თამაშების საგზურის მოსაპოვებლად 0,74 წამი არ ეყო. ამავე დისტანციაზე მე-5 ადგილი დავით სიხარულიძეს (1.54.06ძ ერგო.

ქართველი მოცურავეები (ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ხომასურიძე, მწვრთნელი ირინა მინჟულინაძ 4-8 მაისს ხარკოვში უკრაინის თასზე იასპარეზებენ, 21-27 მაისს დებრეცენში ევროპის ჩემპიონატზე მოსინჯავენ ძალებს და ლონდონის საგზურისთვისაც იბრძოლებენ.

**ლაშა დიდია**

## ფეხბურთი

# ვინ იზეიმებს გამარჯვების დღეს?

**ის, რაც არ მოხდა ჩემპიონთა ლიგაში, 9 მაისს ბუქარესტში განხორციელდება.**

ესპანურ ფინალს ვგულისხმობთ, რომელიც ევროპის ლიგის წლევანდელ გათამაშებას რუმინეთის დედაქალაქში დააგვირგვინებს. საინტერესოა, ვის გაუთენდება გამარჯვების დღე?

**„ბილბაო“ —„სპორტინგი“ 3:1**
**(პირველი მატჩი 1:2)**
**გოლები:** სუსაეტა, გომესი, ლორენტე; ფორზინკელი.

უკვე შორეულ 1977 წელს ბასკური კლუბი ახლოს იყო პირველ ევროპულ ტიტულთან, მაგრამ უეფას თასისთვის გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ტურინის „იუვენტუსის“ ვარსკვლავურ შემადგენლობასთან (ძოფი, ჯენტილე, შირეა, ბენეტი, ბეტეგაძ დამარცხდა. და აი, 35 წლის შემდეგ მარსელო ბიელსამ კიდევ ერთხელ მიიყვანა „სან მამესის“ ბინადრები ტრიუმფის ზღურბლთან.

თუ წითელზოლიანთა წლევანდელ მეტოქეთა ნუსხას გადავხედავთ, მომავალ დუელში ფავორიტებად სწორედ ისინი უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ „მანჩესტერის“, „შალკესა“ და ლისაბონის „სპორტინგისა“ არ იყოს, მადრიდის „ატლეტიკოც“ კერკეტი კაკალია, რაც ორიოდე სეზონის წინათ სწორედ აღნიშნული ტურნირის მოგებით დაამტკიცა.

**„ვალენსია“ — „ატლეტიკო“ 0:1**
**(პირველი მატჩი 2:4)**
**გოლი:** ადრიანი.

თუ კარპატისპირეთში ესპანურ დერბის ვიხილავთ, იგივე შეიძლება ითქვას მწვრთნელებზეც — მოგეხსენებათ, დიეგო სიმეონეც მარსელო ბიელსას თანამემამულეა. ასე რომ, ფეხბურთის მოყვარულებს არანაკლებ დამაინტრიგებელი არგენტინული ტაქტიკური ჭადრაკი გველის.

**გიორგი შოთაძე**




## ინტერნეტიდან

### ვითომ, შეიწყალებენ?



**როგორც ცნობილია, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალებში მიღებული მორიგი ყვითელი ბარათების გამო ალაბამ, ბადშტუბერმა, გუსტავომ („ბაიერნი“), ივანოვიჩმა, მეირელეშმა და რამირესმა („ჩელსი“) დისკვალიფიკაცია დაიმსახურეს და 19 მაისს მიუნხენის „ალიანს არენაზე“ დანიშნულ სეზონის მთავარ მატჩს გამოტოვებენ.**

ამ დღეებში შერისხულთა შეწყალების ინიციატივა გააჟღერა პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციამ, რომელმაც საკუთარი იდეა შემდეგი არგუმენტებით გაამყარა:

უპირველესად, თურმე, საეჭვოს ჰგავდა მთელი რიგი ის ეპიზოდები, რომლებსაც მსაჯების მიერ მოთამაშეთა გაფრთხილება მოჰყვა. გასათვალისწინებელია აგრეთვე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მაგალითი, სადაც, მეოთხედფინალებიდან მოყოლებული, დამნაშავეებს სანქციები უუქმდებათ.

დავძენთ, რომ შესაძლო კასაცია არავითარ შემთხვევაში არ შეეხება „არისტოკრატთა“ კაპიტანს ჯონ ტერის, რომელიც ბარსელონაში მინდვრიდან გააძევეს.

### იქნებ, მიგვებაძა!

**ფიფას ბუდაპეშტის კონგრესის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი ამ ორგანიზაციის უმაღლეს პოსტებზე ასარჩევ კანდიდატურათა ასაკობრივი ცენზის 72 წლამდე შეზღუდვა იქნება. სიახლე პრეზიდენტობის, აღმასკომისა და ცალკეული კომიტეტების წევრობის პრეტენდენტებს შეეხებათ.**

შეგახსენებთ, რომ ფიფას 75 წლის მოქმედ თავკაცს იოზეფ ბლატერს შარშან ნდობა მეოთხე (!ძ ვადით გამოუცხადეს.




სხვათა შორის, უნგრეთის დედაქალაქში გასამართი ფორუმის დღის წესრიგში შეტანილია საკითხი, რომელიც ფიფას მომავალი პრეზიდენტის მაქსიმუმ ორი, ხოლო აღმასკომის წევრების — მაქსიმუმ სამი ოთხწლიანი ვადით არჩევას ითვალისწინებს.

არანაკლებ მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ კენჭისყრა, რომელმაც უნდა განსაზღვროს ეთიკის კომიტეტის მომავალი. თუ დელეგატები ხმათა საჭირო რაოდენობას მოაგროვებენ, იგი ორად გაიყოფა და ერთს სკანდალურ საქმეთა გამოძიება დაევალება, ხოლო მეორეს — ვერდიქტების გამოტანა.

და ბოლოს — განსახილველია აგრეთვე ფიფას აღმასკომის წევრთა 24-დან 25-მდე გაზრდა ქალთა ფეხბურთის კომიტეტის წარმომადგენელთა ხარჯზე.

## 64 უჯრა

# VI. ორი ეტლი

**„ყურადღება, ტანკები“! ეს განგაში ისმის იმ დროს, როდესაც საომარ მოქმედებათა არენაზე ეტლები გამოჩნდებიან.**

ეტლებს სამხედრო ხელოვნების ყველა წესის დაცვით, შემოვლითი გზებისა და მანევრების მეშვეობით შეუძლიათ გაარღვიონ მოწინააღმდეგის დაცვითი პოზიცია. ასეთი მანევრები უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება ისეთ პირობებში, როდესაც ეტლები დაფით გახსნილ ვერტიკალებს და ჰორიზონტალებს აკონტროლებენ.

აღნიშნულ სიტუაციაში მეფე იძულებულია დაცვითი რესურსების შეზღუდვის გამო, მიატოვოს საკუთარი „სამფლობელო“ და დაფის კუთხეში გადაინაცვლოს.

მოულოდნელი მანევრით, ძალთა გატყუების გზით პოლუგაევსკიმ დაამარცხა სილადი, რასაც მოცემულ დიაგრამაზე გთავაზობთ.

**მოამზადა**
**თამაზ შენგელიამ**

1. ეg1+ — მფh6 2. პf8+! — ე:f8
3. ეd3! — შავები დანებდნენ. ჩვ-ზე შამათია

1960



## ⊙ იურიდიული კონსულტაცია

# შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის წესი და პირობები

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**ამჯერად, ყველაზე მეტი შეკითხვა და წერილი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივი საფუძვლების განმარტებასთან დაკავშირებით მივიღეთ. ამიტომ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, სწორედ აღნიშნულზე შევაჩერებთ დაინტერესებულ მკითხველთა ყურადღებას.**

შვილად აყვანის ბათილად ცნობისას ნაშვილებსა და მშვილებელს, აგრეთვე მათ ნათესავებს შორის წყდება არსებული უფლება-მოვალეობანი, მაგრამ, ამავდროულად, იგი აღდგება შვილს, ბიოლოგიურ მშობელს (მშობლებსძ და შთამომავლობით ნათესავებს შორის.

აქვე მნიშვნელოვანია ერთი გარემოება, რომ თუ შვილად აყვანა გაუქმებულია მშვილებლის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, ბავშვს უნარჩუნდება მშვილებლისგან ალიმენტის მიღების უფლება.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვი გადაეცემა მშობლებს, ხოლო თუ ეს არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

**— გთხოვთ განმარტებას, შვილად აყვანის გაუქმების შემთხვევაში როგორ გადაწყდება შვილად აყვანის დროს ბავშვისათვის მიკუთვნებული გვარის, სახელისა და სხვა მონაცემების შენარჩუნების საკითხი?**

— შვილად აყვანის გაუქმებისას სასამართლომ ბავშვის ინტერესების შესაბამისად უნდა გადაწყვიტოს შვილად აყვანისას ბავშვისათვის მიკუთვნებული გვარის, სახელისა და სხვა მონაცემების შენარჩუნების საკითხი, მაგრამ თუ ბავშვი 10 წლის და მეტისაა, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს მისი სურვილიც უნდა გაითვალისწინოს.

რაც შეეხება მინდობით ბავშვის აღზრდის პროცედურებს, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მოქალაქემ, საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე პირმა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომლებსაც სურთ ბავშვის მინდობით აღზრდა (მათ შორის გადაუდებელი მინდობით აღზრდაძ, უნდა მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დედობილ-მამობილის აღრიცხვას სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე ახორციელებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ენიჭებათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის საჭიროებებისა და მინდობით აღზრდის მსურველ პირთა შესაძლებლობების თაობაზე ჩატარებული კვლევისა და მომზადებული დასკვნის საფუძველზე (გარდა გადაუდებელი მინდობით აღზრდისაძ.

**— გთხოვთ გვაცნობოთ, რა პრინციპები უნდა დავიცვათ ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს?**

— უპირველესად გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა სურვილი ბავშვის ასაკთან, სქესთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით; სასურველია ბავშვის ახლო ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში აღზრდის შესაძლებლობის უზრუნველყოფა; აგრეთვე ისიც, რომ ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა ოჯახში მცხოვრები ბავშვების, მათ შორის ბიოლოგიური შვილების და შვილად აყვანილი ბავშვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდს; აქვე გასათვალისწინებელია, რომ 10 წელს მიღწეული ბავშვის მინდობით აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით.

დაუშვებელია და-ძმის, დების ან/და ძმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს, და რაც მეტად მნიშვნელოვანია, მინდობით აღსაზრდელსა და დედობილ/მამობილს შორის ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს არანაკლებ 15 წლისა.

კანონის თანახმად, ბავშვის მინდობით აღზრდა ხორციელდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დედობილ/მამობილთან ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც შეიძლება დაიდოს აღსაზრდელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე, ნებისმიერი ვადით. ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს: ბავშვზე ზრუნვისა და აღზრდის პირობებს; დედობილ/მამობილის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მინდობით აღსაზრდელის უფლება-მოვალეობებს; მხარეთა პასუხისმგებლობასა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს.

**— შეიძლება თუ არა ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა?**

— შეიძლება, მხოლოდ ორივე მხარის (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და დედობილ/მამობილისძ შეთანხმების საფუძველზე.

კანონით გათვალისწინებულია მინდობით აღზრდის ხელშეკრულების შეწყვეტა როგორც ბავშვის მიმღები ოჯახის, ისე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით. მიმღების ოჯახის ინიციატივით ხელშეკრულება შეწყდება, თუ არსებობს დასაბუთებული მიზეზი (ავადმყოფობა, ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, მინდობით აღსაზრდელსა და მიმღების ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტიძ; ხოლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით ხელშეკრულება იმ შემთხვევაში შეწყდება, თუ: მიმღებ ოჯახში შექმნილია მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის საზიანო პირობები და გარემო; მინდობით აღსაზრდელის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების შემთხვევაში; მინდობით აღსაზრდელის შვილად აყვანის შემთხვევაში; თუ მინდობით აღსაზრდელი გახდა სრულწლოვანი; თუ მინდობით აღსაზრდელი დაქორწინდა, აგრეთვე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე.

**— ვის გადაეცემა ბავშვი მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში?**

— ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ბავშვი გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელმაც უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

კანონში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი დედობილ/მამობილის ფინანსურ უზრუნველყოფას და ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მათ მიერ მინდობით აღსაზრდელზე გაწეული ზრუნვის ხარჯები იფარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ დედობილ/მამობილს მინდობით აღსაზრდელის აღზრდის პერიოდი ეთვლება შრომით სტაჟში.

**— კონკრეტულად რა მოვალეობები აკისრია მიმღებ ოჯახს მინდობით აღსაზრდელის მიმართ?**

— მიმღებ ოჯახს მინდობით აღსაზრდელის მიმართ აკისრია შემდეგი მოვალეობები: იზრუნოს მინდობით აღსაზრდელზე მისი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად; შეუქმნას მას ნორმალური ოჯახური გარემო; აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მინდობით აღსაზრდელისთვის საზიანო პირობებისა და გარემოს შექმნის შესახებ; ხელი შეუწყოს მინდობით აღსაზრდელის ურთიერთობას მის კანონიერ წარმომადგენელთან და სხვა ნათესავებთან; იცხოვროს მინდობით აღსაზრდელთან ერთად.

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, მინდობით აღსაზრდელი სარგებლობს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით ბავშვის მიმართ დადგენილი ყველა უფლებით.

მიმღებ ოჯახში მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს დაცული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებაში მინდობით აღსაზრდელის მონაწილეობისა და მისი აზრის პატივისცემის პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ მინდობით აღზრდა არ ზღუდავს აღსაზრდელის უფლებებს ბიოლოგიური მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

აი, მოკლედ, ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით შვილად აყვანასა და მინდობით აღზრდასთან არის დაკავშირებული. თუ მისი წაკითხვის შემდეგ კვლავ დაგებადებათ კონკრეტული შეკითხვა, როგორც ყოველთვის, მზად ვარ უფასოდ გაგიწიოთ კანონიდან გამომდინარე ამომწურავი იურიდიული კონსულტაცია.

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 599 32-85-76.

## ხსოვნა

# გიორგი მელიქიშვილი



ქართული მიწა კიდევ ერთ ღირსეულ შვილს მიიბარებს, დიდებულ ქართველს — **გიორგი მელიქიშვილს**. სამწუხაროდ, სრული ნახევარი საუკუნეც კი ვერ დაყო გიორგიმ ამქვეყნად, მაგრამ იმდენი სიკეთე თესა უშურველად, რომ სწორედ სიკეთით დაამახსოვრა და შეაყვარა თავი გარშემომყოფთ. იშვიათია პიროვნების ისეთი ჰარმონიულობა, როგორითაც გიორგი მელიქიშვილი იყო გამორჩეული, — საუკეთესო შვილი, საიმედო მეუღლე, მოსიყვარულე მამა, ერთგული ძმა, უღალატო მეგობარი, ჩინებული პროფესიონალი, ჭეშმარიტი პატრიოტი...

ამაყი იყო, გულზვიადი, მაგრამ არასოდეს ყოფილა ქედმაღალი და ამპარტავანი, პირიქით, თავმდაბალი გახლდათ. 21 წლისას მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და ამ ცენზის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მაგრამ არ უყვარდა ხოლმე ამ ფაქტის აფიშირება — გარემოებებმა ასე განაპირობაო...

საოცარი მოწიწებითა და პატივისცემით ურთიერთობდა ადამიანებთან და ზრდილობისა და ოჯახიშვილობის ერთგვარ ეტალონადაც გამოდგებოდა. თუმცა, კიდევ მრავალი მიმართებითა და ასპექტით იყო სანიმუშო გიორგი მელიქიშვილი. სამშობლოს მხოლოდ შრომით არ გამოსდგომია, ძნელბედობის ჟამს იარაღით ხელშიც იცავდა საქართველოს ღირსებას. ქართული ტრადიციების დიდი მოყვარული და დამფასებელი იყო. როგორ უხდებოდა ქართული სამოსი, ეროვნული კაზმულობა, როგორ ალამაზებდა და ამაღლებდა ნადიმს მისი ხელმძღვანელობა, როგორ ეფერებოდა ყველაფერ ქართულს...

ყოველთვის და ყველაფერში მადლიანი იყო გიორგი. უზღვავ სიყვარულს გასცემდა, თითქოს გრძნობდა, რომ დიდხანს არ ექნებოდა მოყვასის მოალერსების საშუალება. ვინც მას იცნობდა, დამეთანხმება, რომ გიორგი მელიქიშვილი იდეალური ქართველი ვაჟკაცის, ჭეშმარიტი რაინდის განსხეულება იყო.

მწამს, რომ გიორგის სულის სასუფეველი ზეციურ საქართველოში სწორედ იქ დამკვიდრდება, სადაც საუკეთესო მამულიშვილთა სამყოფელია...

**ზურაბ ოიკაშვილი**

# ვაჟა ბუაძე



გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგი, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მადნიანი საბადოების აღიარებული მკვლევარი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ვაჟა ბუაძე**.

ვ.ბუაძე დაიბადა 1932 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1960 წელს, ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით. იმავე წელს დაიწყო მუშაობა კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში, სადაც მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე. აქ მან განვლო სხვადასხვა თანამდებობრივი საფეხურები. წლების მანძილზე მას ეკავა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა სამეცნიერო დარგში. 1993-2002 წ.წ. შეთავსებით იყო საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე. პარალელურად კითხულობდა ლექციებს თბილისის სახ.უნივერსიტეტში. 1978-82 წლებში ვ.ბუაძე მივლინებით იმყოფებოდა ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც მუშაობდა ალჟირის გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის კონსულტანტ-მრჩეველის თანამდებობაზე.

ვ.ბუაძე, როგორც მადნიანი საბადოების თვალსაჩინო მკვლევარი, აღიარებული იყო არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მადანწარმოშობის პრობლემების კვლევისა და მეტალოგენიური ანალიზის სფეროებში მოიცავდა როგორც კავკასიის, ასევე სხვა რეგიონების (ალჟირი, კანადა, პოლონეთი, ბულგარეთი, თურქეთიძ ლითონურ საბადოებს. ვ.ბუაძეს განსაკუთრებით დეტალურად აქვს შესწავლილი კავკასიის ფერადი და კეთილშობილი ლითონების გამადნებები, მათი იზოტოპურ-გეოქიმიური თავისებურებები და პროგნოზირების საკითხები. საქართველოს მასშტაბით იგი პიონერი იყო მადნების სულფიდური გოგირდის იზოტოპური შემადგენლობის და, შესაბამისად, მადანნივთიერების წყაროების კვლევის სფეროში. მისმა სამეცნიერო შრომებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მადანწარმოშობის თეორიის სრულყოფას.

უკანასკნელ წლებში ბატონი ვაჟა დაკავებული იყო საქართველოს მადანმატარებელი სისტემების ინფრასტრუქტურათა ჩამოყალიბების ფაქტორულ-სისტემური ანალიზით და ოქროსა და ფერადი ლითონების სანედლეულო ბაზის განვითარების მეცნიერული საფუძვლების სრულყოფით.

ვ.ბუაძე 200-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. იგი ასევე აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო მეცნიერულ ფორუმებში.

ღვაწლმოსილი მეცნიერ-გეოლოგის ვაჟა ბუაძის ნათელი კვალი სამუდამოდ დარჩება საბადოების კვლევის ისტორიაში.

ვ.ბუაძის ხსოვნას დიდხანს შეინახავენ მისი კოლეგები და მოწაფეები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი.

სულიერება

# წმინდა კეთილმსახური მეფე თამარი — — მენელსაცხებლე დედათა კვირიაკე



**29 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდა მენელსაცხებლე დედებს: მარიამ მაგდალინელს, მარიამ კლეოპასს, სალომეს, იოანას, მართას, კეთილმორწმუნე, — ქართველთა მეფეს — ბაგრატიონთა შორის გამორჩეულ გვირგვინოსანს „მზეთა მზედ და დედოფალთა დედოფლად, შარავანდედთა უმეტესად აღმობრწყინვებულად“ წოდებულ თამარს.**

...ღვთივკურთხეული თამარ მეფის ცხოვრება მართლაც მენელსაცხებლე დედათა ღვაწლს ემსგავსებოდა.

საქართველოს სახელმწიფოს მმართველი ქალი — ხელმწიფე, სულიერად მუდამ ქრისტესთან იმყოფებოდა: დღისით სახელმწიფო საქმეებს განაგებდა, შემდგომ კი დაუსრულებელ ღამეებს უძილოდ ატარებდა, ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილი, საქართველოსთვის „ლოცვად დამდგარი“. ქართველი ერის ისტორიაში არც ერთ მონარქს არ დაუტოვებია ისეთი ღრმა და შთამბეჭდავი კვალი, როგორიც თამარმა დატოვა.

საქართველოში მრავალი ლეგენდაა შემორჩენილი ქართველთა ლამაზ, მშვენიერ დედაზე...“ ზოგი ლეგენდა მეფე თამარის ყელსაბამს ეხება, ხოგი — ქოშს თამარისას, ზოგი — ხიდს, ზოგიც — წყაროს და ვინ მოთვლის, კიდევ რას.

...დიდი იაკობ გოგებაშვილი აი, რას ამბობდა: „ქართველობას თამარი ისე ცხადად უდგას თვალწინ და ისე აღიდებს მას, თითქოს იგი გუშინ ყოფილიყოს მისი მბრძანებელი“.

მართლაც, საქართველოს ყველა კუთხეში ვხვდებით თამარ მეფის სახელზე აშენებულ ხიდს, ეკლესიას, ქუჩას, ციხეს, კოშკს. თამარის დროს აშენდა კლდეში ნაკვეთი საოცრება — ვარძია.

**გიული ლიპარტია**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### „ყაზტრანსგაზი“ მომხმარებელს უხარისხო გაზს აწვდის?

თბილისის მოსახლეობის ნაწილი და რამდენიმე კომპანია „ყაზტრანსგაზის“ მიერ მიწოდებული ბუნებრივი აირის უხარისხობაზე საუბრობს. წელს, ზამთრის განმავლობაში, გაზს გაცილებით მეტი დანახარჯი ჰქონდა, ვიდრე შარშან ან თუნდაც ორი წლის წინათ. სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლებმა, რომლებმაც „ვერსიასთან“ საუბრისას ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინეს, აღნიშნეს, რომ ზუსტად იმავე რაოდენობის გაზს მოიხმარდნენ წელსაც და სიხშირით, როგორც შარშან, მაგრამ, სამაგიეროდ, წელს ორჯერ და ზოგჯერ სამჯერ მეტი გადასახადი გადაიხადეს.

„ვერსია“.

### რეალურია თუ არა საქართველოში სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირება?

ჯონდი ბაღათურიასა და აზერ სულეიმანოვს შორის პარლამენტში მომხდარი დაპირისპირების შემდეგ ექსპერტები საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის შესაძლო დაპირისპირებაზე ალაპარაკდნენ.

თბილისელ სომეხთა კავშირის თავმჯდომარემ მიხეილ ტატევოსოვმა სიტუაციის განმუხტვაში დახმარება საპატრიარქოს სთხოვა. მისი თქმით, პარლამენტში მომხდარი ინციდენტი, გარეშე ძალების მიერ, ხელოვნურად იყო პროვოცირებული.

„რეზონანსი“.

უმაღლესი სკოლა

## ძველი შეაჯამეს, ახლისკენ გაიხედეს



**თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა პროფესორმასწავლებელთა და სტუდენტთა კითხვა-პასუხის ორიგინალური ღონისძიება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა. მან ისაუბრა ამ ტრადიციული ღონისძიებების სასიკეთო შედეგებზე და ამავე დროს დარბაზს გააცნო სტუდენტთა მიერ ადმინისტრაციის მისამართით დასმული ჯერჯერობით გადაუჭრელი საკითხები.**

პრობლემები შეეხებოდა სასწავლო აღმზრდელობით მუშაობას, ვაჟა-ფშაველას საღამოში მონაწილეობას, სამეცნიერო შრომების კრებულში მასალების წარმოდგენასა და ა.შ.

სტუდენტთა მიერ დასმულ საკითხებზე პასუხები გასცეს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა: ლიანა ხმალაძემ, ავთანდილ მექვაბიშვილმა, ზურაბ სანადირაძემ, ნანა კირკიტაძემ, თინათინ ჭყრუნიშვილმა და სხვებმა.

შეხვედრა შეაჯამა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა ამირან მექვაბიშვილმა.

შეხვედრაზე ნათლად გამოიკვეთა მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის მზადების პერსპექტივები.

**ხვთისავარ არჩემაშვილი**

ინფორმაცია

## „საიდუმლო გვირაბი“ გალაკტიონის ხიდთან

**გალაკტიონის ხიდთან მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე მუშებმა გათხრის დროს 2 აგურით ნაშენი თაღი აღმოაჩინეს. ორივე თაღის შიგთავსი მიწითაა ამოვსებული. მათი ზუსტი დანიშნულება უცნობია.**





## თბილისში იასამნისფერი ტაქსები არ გამოჩნდებიან

**გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს თბილისში მალე იასამნისფერი ტაქსები გამოჩნდებიან, ცრუ აღმოჩნდა. ინფორმაცია არც თბილისის მერიამ დაადასტურა.**

ჭორი მას შემდეგ აგორდა, რაც თბილისში ლონდონური ტაქსების კოლონამ ჩაიარა, რომლებიც სინამდვილეში აზერბაიჯანისკენ მიემართებოდნენ. აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ბაქოში მალე ლონდონური ტაქსი იმოძრავებს. მანქანები ბრიტანული ტაქსების კომპანიას ეკუთვნის, რომელთა ბაქოში ჩაყვანა აზერბაიჯანს 27 მილიონი დოლარი დაუჯდება.

ანეკდოტები

— კაცო, ვერ ვიძინებ სიბნელეში, რადგან ვერ ვიგებ, თვალები დახუჭული მაქვს თუ არა, — წუხს სვანი.

* * *

ნარკომანი ტუალეტშია ჩაკეტილი და სარკეში იყურება. რაღაცას ფიქრობს და ვერ იხსენებს. ასეა ერთი, ორი, სამი საათი. მერე დედამისი დაუძახებს:

— გია გამო მალე.

— ა, ჰო, გია, გია, ტო...

* * *



— გუშინ ქარიყლაპია დავიჭირე, 72 კილოს იწონიდა!

— ეგ რა არის, გუშინ მდინარიდან ბრინჯაოს შანდალი ამოვიღე და რომ ამოვათრიე, სანთლებს ცეცხლი ეკიდა.

— 40 კილო რომ დავაკლო, სანთლებს ჩააქრობ?

* * *

— ჭიჭიკია, იცი ცოლს რომ ვეყრები?

- ეკითხება ბიჭიკია.

— რატომ, ბიჭო?

— უკვე 6 თვეა არ მელაპარაკება.

— მერე გაგიჟდი, ბიჭო? სადღა იშოვი ეგეთ ცოლს!

* * *

ექიმი ეუბნება პაციენტს:

— თქვენთვის კარგი ამბავიც მაქვს და ცუდიც.

— ცუდი რა არის?

— გუშინ მარცხენის ნაცვლად მარჯვენა ფეხი მოგაჭერით.

— ვაიმე, და კარგი?

— არც მარცხენა ყოფილა მოსაჭრელი...

კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24